# დროება

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

№ 12 შაბათი, 17 იანვარი 1909 წ.

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ ოფის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე ოთხჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. ... დავ მცირე წერილებს და კორესპ... სავს. ინახება ერთის თვით ... მოთხრობები. პირადად მოლ... დღე, კვირა-უქმეების გარდა ... დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., სოფლ სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.**


**გრიგორ მიხეილის ძე კულიჯანოვი** მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავის ძვირფას მეუღლის

## ანნა ისაიას ასულის კულიჯანოვისას.

პანაშვიდები იანვრის 17-სა და 18-ს, საღამოს 6 საათზე, მიხეილის საავადმყოფოში. გამოსვენება ორშაბათს, იანვრის 19, დილის 10 საათზე, საავადმყოფოდან კუკიის კათოლიკების ეკკლესიაში. (31)

---

**თავ. ლუარსაბ** (იოსებ) **პაატის ძე** და მეუღლე მისი **ნინა ზაქარიას ასული ნიჟარაძენი** შვილებითურთ, დამწუხარებულნი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ და უეცრად გარდაცვალებას საყვარელ შვილის კნიაჟნა

## მარიამისას (მარუსია).

დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 20 იანვარს, წმ. ნინოს სასაფლაოზე. წირვა გადახდილი იქნება წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში ჩუღურეთში და გამოსვენება ცხედრისა დილის 9 საათზედ.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზედ ელისაბედის ქუჩა სახლი მელვინოვის, № 99. (2—32—1)

---

კვირას, 18 იანვარს, კუკიის მართლ-მადიდებელთა წმ. ნინოს სასაფლაოზე, ახლად აგებულ ეკკლესიაში, გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

## გაბრიელ გაბრიელის ძის ქართველიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ოჯახი. წირვა დაიწყება 10 საათ., პანაშვიდი 11 ნახევარ საათზე. (1—29—1)

---

მასწავლებელი **ბაბო ბენაშვილისა** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობმეგობრებს, რომ ქუთაისში კვირას, 18 იანვარს, დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი სასულიერო სასწავლებლის ეკკლესიაში (ძველი სობორო) ძვირფას ბიძის უდროოდ გარდაცვალებულის ქართული ენის მასწავლებლის

## ანდრო სიმონის ძის ბენაშვილის

სულის მოსახსენებლად. (2—კვ.—2)

---

თებერვლის პირველ რიცხვებში ქ. ტფილისში გამოვა პირველი წიგნი

## ლიტერატურულ-სიტყვა-კაზმულ კრებულისა

**რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ:** ნ. აზიანი, რ. არსენიძე, ვლ. ახმეტელაშვილი, ბ. ახოსპირელი, კ. გოგოლაძე, ივ. გომართელი, ლ. დარჩია, ვლ. დარჩიაშვილი, ვალენტინი, ნ. ზომლელი, იასამანი, პ. ირეთელი, ლოლიონი, ლეო, რ. ლეჩხუმელი, ვ. მალაქიაშვილი, ს. მგალობლიშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი, ტრიფონ რამიშვილი, ვ. რუხაძე, ვ. ტუქსიშვილი, ყარიბი, შ. შარაშიძე და სხვ.

კრებული გამოვა თვეში ორჯერ. კრებულში დაიბეჭდება ლექსები, პოემები, მოთხრობები, მხატვრული აღწერანი, მოგზაურობანი, ეტიუდები, დრამატიული თხზულებანი, კრიტიკული წერილები ქართულ ლიტერატურაზე. კრებულში გამოსაგზავნი მასალები უნდა იყოს გარკვევით დაწერილი, მასთან რაც შეიძლება მხატვრულად და მოკლედ, რადგან ჩვენი მიზანია თვითეულ წიგნში რაც შეიძლება მეტ ავტორთა სხვა და სხვა მასალებს მივსცეთ ადგილი. მასალები უნდა გამოიგზავნოს: რუსის ქუჩაზე, სტამბა „შრომაში“ ხელწარწერით „ლიტერატურულ კრებულისათვის“. კრებულის დაკვეთა წინდაწინვე შეიძლება. თვითეული წიგნი შეიცავს 80 გვერდს მოზრდილ ფორმატისას კარგ ქაღალდზე დაბეჭდილს და ეღირება 20 კაპ. აგენტებს 15 კაპ. დაეთმობათ. ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: „Тифлисъ. Типографія „Шрома“ (Русск. ул.) Василію Карамановичу Болквадзе. (3—უ.—1)

---

— **იაფ-ფასიანი წარმოდგენა დილით** —

**წარმოდგენა № 11.** **ქართული თეატრი** **წარმოდგენა № 11.**

კვირას, 18 იანვარს 1909 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

## რევიზორი

კომედია 5 მოქმედებად. ნ. გოგოლისა თარ. ა. ჭიჭინაძის-მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ა. საგინაშვილი, მ. ქილარჯიშვილი, ვ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამძელი, კ. მესხი, ი. ყიფიანი, ს. სვიმონიძე, შ. საფაროვი, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 8 მ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 75 კ.-მდე. გალერეა 50 კ.-დან 20 კ.-მდე. მოწაფეთათვის ფორმაში 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ დილის 12 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად „სალხინო“, „ჩერჩეტი“.

უფროსი რეჟისორი **ა. ი. ყანჩელი.** რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.**

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

---

## ცირკი ძმ. ნიკიტინებისა



შაბათს, 17 იანვარს, დიდი სპორტი-წარმოდგენა სამ-მოქმედებად. **ჩვენი შაბათები.** მონაწ. დებიუტი კლოუნის **იაცუ-გარრისა.** მონაწილეობას იღებენ კლოუნები, კომიკები, ცხენოსნები. სხვათა შორის მესამე განყოფილებაში ესე 10 საათზე საერთა-შორისო ჩემპიონი ფრანგულ **ჭიდაობისა** 8000 ფრანკ პრიზზე. იჭიდავებენ: 1. **პოსპეშილი** და **ლურიხი**; 2. **კრახუტო** და **იოგანსენი**; 3. **ოსიპენკო** და **ანდერსენი**; 4. **კრიკორ ბარადანიანცი** და **რუჩკინი.** დაწვრილებით პროგრამებში.

(0—1) დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**

---

◀ **საერო განათლების სამინისტროს ხელ-ქვეით მყოფი** ▶

## კერძო სასწავლებელი

მეხუთე ქალთა გიმნაზიის ყ. ფილ უფროსის

**ლიუდმილა თეოდორეს ასულის პეტრაშევსკისა**

მიხეილის პროსპექტი, № 166.

დაიწყო მიღება ქალებისა და ვაჟებისა მოს მზადებელ 1, 2 და 3 კლასებში. დაწვრილებითი ცნობები სკოლის სადგომში ყოველ-დღე 10—2 საათამდე. საბავშვო ბაღი და პანსიონი. (10—ნახყ.—7)

---

**ტფილისის სახაზინო თეატრი**

შაბათს, 17 იანვარს, წარმოდგენილი იქნება

## „გ ე ი შ ა“

მონაწილენი: ქ-ნნი არდი, დრუზიაკინა, კალინინა მეორე, ფერრარი; ბ-ნნი დანილევსკი, ევლახოვი, კარელინი, ლუტჩევი, სმირნოვი, ტომსკი და სხვ.

დირიჟორი **ი. პ. ფალიაშვილი.** რეჟისორი **ც. ურ ანი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ანონსი:** კვირას ორი წარმოდგენა. მზადდება წარმოსადგენად „ანჟოჟ შენი“.

---

**პირველი კერძო სამკურნალო**

## დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—12 ნახ. ს. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—4)

---

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი **ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, სამარდე შილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—40)

---

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოვიანის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—74)

---

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

---

**ექიმი** **ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

---

**ექიმი** **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

---

**ექიმი** **ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—49)

---

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—74)

---

**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

---

**ექიმი** **ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნო, N 9. (უ)

---

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

---

**ჟურნალი** „**განათლების**“ რედაქცია აცხადებს, რომ ვისაც სურს შეიძინოს წარსული წლის ყველა ნომრები № 1—8 (ხუთი წიგნი) დაეთმობა **ტფილისში** 1 მან. 50 კაპ. პროვინციებში 2 მანეთად. სოფლის მასწავლებლებს 1 მან. 50 კაპ.

ტფილისში ჟურნალი იყიდება „**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების**“ წიგნის მაღაზიაში. (5—უ.—2)

---

**ექიმი** **ე. ვ. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

---

**ქირურგი** **ე. ვ. როდზევიჩი ქუთაისში** გადავიდა მეთევზეების ქუჩაზე, სახლი ს. დ. ჯაფარიძისა (კოკოჩევის აფთიაქის გვერდით). (3—კვ.—2)

---

20 იანვარს ქუთაისის საკრებულო დარბაზში **დანიშნულია**

## საცეკვაო საღამო

**ქართულ გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების** თანხის გასაძლიერებლად.

საღამოს გამგე

(3—კვ.—2) **კნ. ა. დ. წერეთლისა.**

---

**ტფილისის სახალხო**

## უნივერსიტეტის

გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 18 იანვარს, დილის 10 საათისთვის დანიშნულია

**ს ა ზ ო გ ა დ ო კ რ ე ბ ა**

ზუბალაშვილის სახალხო სახლში. სთხოვენ საზოგადოების წევრებს მობრძანდნენ.

საზოგადო კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობის წევრები, დაამტკიცოს ანგარიში 1907 წლისა და იქონიოს მსჯელობა საზოგადოების წესდების ზოგიერთ პარაგრაფების შეცვლაზე. (3—უ.—1)

---

ტფილისის სახალხო

## უნივერსიტეტის

**ქართული სექცია** ამით აცხადებს **მუშების საყურადღებოდ,** რომ **ვერის სკოლაში,** ოლგის ქუჩაზე № 52, ორშაბათიდან (19 იანვარი) მიიღებიან მოსწავლეებად მუშები.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ყოველ დღე საღამოს 6—8 საათზე გარდა კვირა დღისა. აგრეთვე ძველ მოსწავლეებსაც, რომელნიც დღესასწაულების შემდეგ არ გამოცხადებულან, შეუძლიანთ განაახლონ სწავლა. (3—უ.—1)

---

# ტფილისი, 17 იანვარი

რამდენისამე დღის შემდეგ სათათბირო კვლავ გაიხსნება. უნდა ვიფიქროთ, რომ კავკასიის შეკითხვაც მალე ხელმეორედ წამოჰყოფს თავს. ამ შეკითხვის ისტორია ჯერ დასრულებული არ არის და შემდეგში უფრო საინტერესო და სასენსაციო სურათებს გადაგვიშლის თვალ წინ, ვიდრე პურიშკევიჩის ყბად აღებული და წყალ წაღებული სიტყვა იყო. ამ ჟამად ბარონი ნოლდე ტფილისში იმყოფება და, როგორც ამბობენ, მეტად საინტერესო მასალა მოუგროვებია შეკითხვის ავტორების გასაცრუებლად. ბარონ ნოლდეს თურმე გამოუკვლევია, რომ ტფილისში არსებობს რაღაც საიდუმლო კომიტეტი, რომელიც ყალბ ცნობებს და ყალბ დოკუმენტებს აწვდიდა აქედან პეტერბურგში; გამოურკვევია აგრეთვე, რომ ამ კომიტეტის ზოგიერთი წევრი ნამესტნიკის კანცელარიის მოხელე ყოფილა. რა იდუმალი განზრახვა ამოძრავებს ამ კომიტეტს და რა სწადიანთ იმის წევრებს, ეს ძნელი სათქმელია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ეს ვაჟბატონები მარჯვედ სარგებლობენ იმ გარემოებით, რომ პეტერბურგსა და ტფილისს შუა ოთხი ათასი ვერსის მანძილია.

სათათბიროს წევრთა დიდს უმრავლესობას მხოლოდ გაუგონია ან წაუკითხავს ორიოდე სიტყვა კავკასიაზე; ზოგ მათგანს ოდესმე იქნება კიდეც დაეთვალიერებინოს ვაგონების ფანჯრიდან ჩვენი ქვეყნის მთები და მდინარეები, მაგრამ ცოდნით კი ჩვენს ქვეყანაზე იმაზე მეტი არაფერი ეცოდინებათ, რაც, ვთქვათ, მარსზე და მთვარეზე იციან. ასეთ ცოდნით შეიარაღებული დეპუტატები მშვენიერ მასალას წარმოადგენენ იმათთვის, ვინც სასენსაციო ცნობებით ფანტაზიას აუთამაშებს და ცოტა შეაშინებს კიდეც. პურიშკევიჩებმა უეცრივ სათათბიროს დარბაზში რომ განაცხადონ, ტფილისის ქუჩებში ყველა გამვლელ რუსს საფრთხე მოელის, რადგან კავკასიელნი რევოლიუციონერები ყველგან ჩასაფრებულნი მოელიან მსხვერპლს და რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია ამის წინააღმდეგ არავითარ ღონისძიებას არა ხმარობს—სათათბიროს დეპუტატებმა უნდა დაიჯერონ. ოციოდე წლის წინად პარიზში თურმე სჯეროდათ, რომ პეტერბურგის ქუჩებში ხშირად დათვები გაჩნდებიან საიდანღაც, დაერევიან ხალხს და მუსრს ავლებენო. უვიცობა ცრუმორწმუნეობის წყაროა. ზოგჯერ ცრუ ხმების და ცნობების დარღვევა შესაძლებელია, ზოგჯერ ამ მიზნით პეტერბურგიდან ტფილისში მოგზაურობა ჰხდება საჭიროდ, მაგრამ ხშირად, ძალიან ხშირად კი ვერავითარი საშუალება ვერ ჩაახშობს უსაქმო და კაცი-ჭამია ჭორიკანებს. იმათი ჩახშობა მხოლოდ მაშინ შეიქმნება შესაძლებელი, როცა მათს აუდიტორიას ნამდვილი ცნობები ექნება კავკასიის შესახებ. პურიშკევიჩის უნიადაგო ლაყბობამ საშინელი პოლიტიკური კორიანტელი ასტეხა; ეს კორიანტელი, რა თქმა უნდა, სრულიად შეუძლებელი იქნებოდა, იმისი აუდიტორია რომ კავკასიელებისაგან ყოფილიყო შემდგარი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბარონი ნოლდე ტფილისიდან სრულიად საკმაო უტყუარ ცნობებს წაიღებს პეტერბურგში პურიჩკევიჩის გასაბათილებლად, მაგრამ ამისთვის მას ორი თვის ვადა დასჭირდა და განა ყოველთვის შესაძლებელია, რამდენიც კი ვინმე პურიშკევიჩის მსგავსი დეპუტატი წამოისვრის რასმეს კავკასიაზე, იმდენი იფრინონ მთავრობის მოხელეებმა პეტერბურგიდან ტფილისში ცნობების შესამოწმებლად? ესეც რო არ იყოს, რა აზრი აქვს შეკითხვის შეტანას პარლამენტში, თუ კი პასუხის მისაცემად მოხელეებს ორ-ორი და სამ-სამი თვე დასჭირდებათ მარტო ფაქტების შემოწმებისთვის მოგზაურობაზე? და განა ყოველ გვარ ყალბ ცნობებს შეიძლება შემოწმებულ ფაქტებით გაუმკლავდეთ? აი, მაგალითად, ჩვენ ე. ი. კავკასიაში მცხოვრებლებმა ყველამ დანამდვილებით ვიცით, რომ აქ სეპარატიზმზე არც ერთი ერი არა ფიქრობს; კარგად იცის ეს კავკასიის ადმინისტრაციამაც, მაგრამ რა საშუალებით და რა საბუთით შეგვიძლიანთ დაუმტკიცოთ პურიშკევიჩებს, რომ ფარულად ქართველებს და სომხებს ცალკე სახელმწიფოს დაარსება არ აფრთოვანებთ? რა საბუთიც უნდა მოიყვანოთ, პურიშკევიჩები ყოველთვის გიპასუხებენ, თქვენ ვერ მიგიგნიათ კავკასიელების ფარულ კომიტეტებისთვის, ვერ გიპოვნიათ იმათი ბინა, ვერ გამოგიძიებიათ იმათი სეპარატიზმი და გგონიათ, რომ სეპარატიზმს მართლა გასავალი არა ჰქონდეს კავკასიაშიო? ამ გვარ პოლიტიკურ გულთამხილაობის სამოსელში გამოწყობილს ცილისწამებას მხოლოდ მაშინ დაეკარგება ნდობა, როცა პურიშკევიჩები იძულებულ იქნებიან კავკასიის საქმეების მცოდნე აუდიტორიის წინაშე ილაპარაკონ და არა ეხლა, როცა თავიანთ ჭორებს იმ დეპუტატებში ასაღებენ, რომელთაც კავკასიაზე არავითარი წარმოდგენა არა აქვთ.

ჩვენი მკითხველი, უეჭველია, მიჰხვდებოდა, რა დედა აზრის გამოხატვა გვინდოდა დღევანდელს წერილში. შეუსაბამოა და შეუწყნარებელი, კავკასიის ადმინისტრაციის მოქმედებაზე კანონიერების მხრივ მსჯელობდნენ იქ, სადაც ორიოდე კაცის მეტმა არავინ რა იცის საკუთარის დაკვირვებით არც კავკასიაზე და არც იმის ადმინისტრაციაზე. ამ მსჯელობას ასეთ პირობებში სრულიად ეკარგება თავისი ბუნებრივი და პირვანდელი ხასიათი; მოქმედების კანონიერება უბრალო ხელზე დასახვევ მასალად ჰხდება, ნამდვილად კი სრულიად სხვა გვარ ინტერესების ბრძოლა სწარმოებს. დროისა და პირობების მიხედვით ეს ინტერესები შეიძლება სხვა და სხვა იყოს, მაგრამ მათ არასოდეს არა აქვთ დასაბამი ადგილობრივ მცხოვრებთა კეთილ-დღეობაში; ზოგჯერ ამ ინტერესებს ვიწრო ეგოისტური ხასიათი აქვთ, ზოგჯერ ვიწრო ნაციონალისტური, ზოგჯერ მკვახედ და ტლანქად სთელავენ ადგილობრივ ინტერესებს, ზოგჯერ მსუბუქად,— მაგრამ სიკეთე კი ადგილობრივ ცხოვრებისთვის აქედან არასოდეს არ შეიძლება წარმოსდგეს.

ეხლანდელ პირობებში არავითარ ფართო რეფორმაზე არ შეიძლება ლაპარაკი. ჩვენც ვდუმვართ, ირგვლივ საყოველთაო დუმილია, მაგრამ ერთხელაც იქნება დაჰბერავს ქარი, გადაჰშლის ბურუსს და კვლავ შთაჰბერავს სულს ყველა იმას, რაც ეხლა საუკუნოდ დამძრალსა ჰგავს.

---

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 იანვარი

**ს პ ა რ ს ე თ ი**

**თეირანი.** სამხრეთ სპარსეთში იფეთქა აჯანყებამ. ბუშირში აჯანყებულმა ხალხმა დასჭრა გუბერნატორი და მოჰკლა მისი ორი ვაჟიშვილი. შირაზში ხალხი დაეცა შაჰის ბანკის განყოფილებას და გაძარცვა. ურიასტანში მუშტეიდ ჰაჯი-სეიდ-აბდულ-ჰუსეინის წინამძღოლობით დაიწყო ძლიერი მოძრაობა მთავრობის წინააღმდეგ.

**თავრიზი.** მთავრობის ცხენოსნებმა სამად ხანის მეთაურობით დაიჭირეს ორი სოფელი ალვანი და სევალონი, თავრიზიდან 10 ვერსის მანძილზე და ჯულფის გზა მოუჭრეს.

**ო ს მ ა ლ ე თ ი**

**სტამბოლი.** 14 იანვარს საღამოთი „პერა-პალას“-ში (პერის სასახლეში) ლიბერალთა საპარლამენტო პარტიის დამფუძნებელმა—ლიბერალთა საზოგადოებამ, რომელსაც მეთაურობას უწევს პრინცი საბაჰედინი, ბანკეტი გამართა ოსმალეთის იმპერიის დაარსების დღიდან 610 წლის შესრულების გამო. ბანკეტზე დაესწრნენ შინაგან საქმეთა, სამხედრო და ვაკუფების მინისტრები, ასზე მეტი დეპუტატი, სენატორები, რამდენიმე ჟურნალისტი. ხილმი-ფაშამ წაიკითხა კიამილ-ფაშის სიტყვა, რომელშიაც ნათქვამია: „სიხარულით დავესწარ პირველ ბანკეტს პატრიოტების მიერ გამართულს ოტომან-

თა დამოუკიდებლობის წლის თავზე. საუკუნო იყოს ის დამოუკიდებლობა! მიხარიან [illegible] წესწყობილების თავისუფლება, რომელიც გვაძლევს შეძლებას ამ სტოლის გარშემო შევერთდეთ. ჩვენ მადლობა უნდა გადაუხადოთ სულთანს, რომელმაც უზრუნველჰყო ოსმალთა ეროვნების პროგრესი. ოტომანთა ერი დიდებული იქნება, სანამ ხელმწიფე და ერი ერთად იმოქმედებენ. ამ გზით ოსმალნი აღადგენენ დიდებასა და ძლიერებას, დაკარგულს უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში. ეს მაშინ განხორციელდება, თუ ოტომანთა იმპერიის ერები შეერთდებიან ოტომანთა ბაირაღის გარშემო. ყველა ერებმა—ოსმალებმა, არაბებმა, ქურთებმა, ალბანელებმა, სლავიანებმა, ბერძნებმა, სომხებმა, ებრაელებმა უნდა შეიგნონ, რომ შეადგენენ ერთს ეროვნებას და აქვთ ერთი სამშობლო; უნდა იამაყონ ოტომანთა საერთო დიდებით და არა თავ-თავიანთ ეროვნებათა დიდებით. ეს ერები ხელიხელ გადაბმულნი წავლენ განვითარების გზაზე. ვაცხადებ, რომ ამ განვითარებას და წინსვლას არაფერი დააბრკოლებს არც შიგ ოსმალეთში, არც გარეთ. ყველა პოლიტიკური უთანხმოება მალე იქნება მოწესრიგებული". კიამილ-ფაშას გარდა შეერთების შესახებ ილაპარაკეს სენატის თავმჯდომარემ საიდ-ფაშამ, „იკდამ"-ის რედაქტორმა ალი-კემალმა და სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა. ახალგაზრდა ოსმალები არ დასწრებიან ბანკეტს.

### ბ ა ლ კ ა ნ ე თ ი

**სტამბოლი.** ბოლგარიის ჯარის მობილიზაციის თაობაზე ოსმალური გაზეთები ჰბეჭდავენ ნაწყვეტებს ოსმალეთის ნოტიდან, რომლიდანაც სჩანს, რომ ოსმალეთს ჰსურს მშვიდობიანობა და ფიქრადაც არ აქვს ომი. „იენი-გაზეტა"-მ დაბეჭდა ოფიციალური განცხადება, რომ ოსმალეთი არ აძლევს მნიშვნელობას ბოლგარიის მუქარას და ცდილობს წინანდებურად თავის მოთხოვნების ასრულებას და ყველა სხვა სახელმწიფოსთან ერთად სინანულს აცხადებს ბოლგარიის ომისადმი მისწრაფების გამო, თუმცა-კი ამ მისწრაფებას სერიოზულად არავინ არა სთვლის, როგორც ამას ჰმოწმობს ბირჟის სიდინჯე. ომის შიში არაა, მაგრამ თუ მოლოდინის წინააღმდეგ ომი დაიწყო, ბოლგარია ძლიერ იზარალებს და დიდის ხნით სანანებლად გაუხდება ეს ომი.

**პეტერბურგი.** „პეტ. ტელეგრაფის სააგენტო"-მ სარწმუნო წყაროდან შეიტყო, რომ ცნობის მიღების უმალ ბოლგარიის მთავრობის მიერ სამხედრო ღონისძიების მიღების შესახებ, რუსეთის მთავრობამ დეპეშით მიჰმართა გერმანიის, ავსტრო-ჰუნგრეთის, საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის მთავრობებს. დეპეშაში ნათქვამია: იღებს რა მხედველობაში ბოლგარიის მთავრობის განცხადებას, რომ ბოლგარიას მტკიცე განზრახვა აქვს მკვიდრად შეუთანხმდეს ოსმალეთს, რუსეთს არ შეუძლიან არ გამოსთქვას შიში, რომ ყოველი სამხედრო ღონისძიება ოსმალეთ-ბოლგარიის საზღვარზე გაამწვავებს ურთიერთობას და შეიძლება ომიც გამოიწვიოს, ამიტომ რუსეთის მთავრობა წინადადებას აძლევს ხსენებულ დიდ სახელმწიფოებს: ერთმანეთთან შეთანხმებით შემდეგი საერთო ნოტა გაუგზავნონ როგორც ოსმალეთს, ისე ბოლგარიას: სამხედრო ღონისძიება ოსმალეთ-ბოლგარიის საზღვარზე მხოლოდ ხელს შეუშლის სახელმწიფოთა მეცადინეობას—ოსმალეთი და ბოლგარია მეგობრულად შეათანხმონ; სახელმწიფოები თანაგრძნობით მოეკიდებიან ყველა კომბინაციებს, რომლებიც ხელს უწყობენ ხსენებულ მიზნის მიღწევას, მაგრამ ისინი ჰფიქრობენ, რომ სურვილი სახელმწიფო საზღვრის შეცვლისა ამა თუ იმ სახელმწიფოს სასარგებლოდ უნდა მოსპობილ იქმნას, რადგან ასეთ საკითხის აღძვრა მხოლოდ გააუარესებს ურთიერთობას ოსმალეთსა და ბოლგარიის შორის და ამის გამო ცუდად იმოქმედებს საქმეთა საზოგადო მდგომარეობაზე; დასასრულ აუცილებლად საჭიროა მოლაპარაკების სასურველად დასამთავრებლად, რომ ბოლგარიამაც და ოსმალეთმაც ხელი აიღონ ყველა ისეთ ღონისძიებაზე, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მუქარად ან გამოწვევად.

### საზღვარ-გარედ

**ლონდონი.** „ტაიმს"-ს დეპეშით ატყობინებენ პეკინიდან, რომ ახალგაზრდა იმპერატორი ავად არის, როგორც ამბობენ, ყვავილითაო.

**კალკუტა.** უნტერ-ოფიცერი და 22 ჯარის-კაცი (ადგილობრივი მცხოვრებნი) გაიქცნენ იარაღითა და ცხენებით ბელუჯისტანში. გაქცეული ჯარის-კაცები დაეცნენ რვალიდან გაიდაიზაში მიმავალ ფოსტას; აგრეთვე მოჰკლეს მედუქნე.

**ვაშინგტონი.** რუზველტმა გამოცდილ რვა საზღვაო აფიცერს დაავალა ფლოტის რეორგანიზაციის პროექტის შემუშავება. ის უნდა მოეწყოს ფლოტის საქმე, რომ მშვიდობიანობის დროს მზად იყოს საბრძოლველად.

### რ უ ს ე თ ი

**კურსკი.** რაკი მთავრობამ არ შეიწყნარა შუამდგომლობა ნოვო-ალექსანდრიის ინსტიტუტის კურსკში გადმოტანის შესახებ, კურსკის საგუბერნიო საერობო კრებამ დაადგინა, შეიძინოს საგლეხო ბანკისაგან ქალაქის მახლობლად მდებარე მამული—ასი დესეტინა—და დაარსოს იქ საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი ას მოწაფისთვის. ეს სასწავლებელი უნდა დაარსდეს იმ 450 ათასს მანეთით, რომელიც განსვენებულმა მაიორმა რასტანკოვიჩმა შესწირა ქალაქს.

**მოსკოვი.** გუბერნატორმა მისწერა საერობო გამგეობას, რუზკის მაზრის თავად-აზნაურთა ყოფილი წინამძღოლი თავ. დოლგორუკოვი საგუბერნიო ხმოსნობიდან დაითხოვეთ, რადგან სენატმა, მე 341 მუხლის ძალით, საჩივარი აღძრა დოლგორუკოვის წინააღმდეგაო.

**ტულა.** საგუბერნიო საერობო კრებამ საჭიროდ სცნო გააფართოვოს სასოფლო-სამეურნეო დახმარების საქმე გუბერნიის მცხოვრებლებისთვის. მაზრებში უნდა დაწესდეს სამაზრო აგრონომის თანამდებობა. ამისთვის ექვს მაზრის ერობას მიეცემა ყოველ წლიურად 750 მანეთი. მაზრის ერობები თანახმანი არიან ამ თანამდებობის დაწესებისა.

**კიევი.** კიევის ქალთა უმაღლეს კურსების საბჭომ შეიმუშავა და მალე წარადგენს დასამტკიცებლად წესდების ახალ პროექტს, რომლითაც კურსები უნდა გადაკეთდეს ქალთა უნივერსიტეტად სამი ფაკულტეტით: ისტორიულ-ფილოლოგიურით და ფიზიკო-მათემატიკურით; საექიმო განყოფილება გამოყოფილი იქნება ცალკე სასწავლებლად. კურს დამთავრებულნი ეგზამენს ჩააბარებენ უნივერსიტეტში გამოსაცდელ კომისიებში და მიიღებენ დიპლომებს ყველა იმ უფლებით, რასაც უნივერსიტეტი აძლევს.

**ასხაბადი.** საფოსტო ვაგონიდან ვიღაცეებმა მოიპარეს 469 ათასი მანეთი. დანაკარგი აღმოაჩინეს ასხაბადის სადგურზე.

**ტაშკენტი.** ასხაბადის ფოსტის კანტორაში, კრასნოიარსკიდან მოსულ ფოსტის გასინჯვის დროს, ტყავის ტომარაში არ აღმოჩნდა 1,480,000 მანეთი. ფული წაეღოთ ფოსტის ვაგონის გაჭრილ კედლიდან. ვაგონის ბაქანზე ნახეს 105,000 მანეთი. ფოსტის მოხელენი დააპატიმრეს.

**ნოვოჩერკასკი.** პირველ იანვრიდან ტაგანროგის ოლქში ავად გახდა ხოლერით 18 კაცი. გარდაიცვალა 10 კაცი.

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 26 კაცი, გარდაიცვალა 7.

**კიევი.** დაიწყო გარჩევა ლუბენის რევოლიუციონურ ორგანიზაციების საქმისა. პასუხისგებაში მიცემულია 38 კაცი, მათში პირველი სათათბიროს წევრი შემეტი, ლუბენის ყოფილი ქალაქის თავი, გადასახადთა ინსპექტორი და სხვა საზოგადო მოღვაწე. დაბარებულია 400 მოწმე.

**კიევი.** გენერალ-გუბერნატორმა საჩუქარი აღუთქვა, ვინც ვაჭარ რეიხშტეინის მკვლელებს აღმოაჩენს.

**მოსკოვი.** ლუბიანის გასავალში, ერმეევის სახლში, პოლიციამ აღმოაჩინა კარგად მოწყობილი სტამბა სოც.-დემოკრატებისა. ნახეს აწყობილი ნომერი გაზეთ „მუშათა დროშისა", ქაღალდი, შრიფტი. დაატუსაღეს 10 კაცი. ამასთან დააპატიმრეს რამდენიმე სხვა კაცი და აღმოაჩინეს ლიტერატურა.

**ვიბორგი.** სასამართლომ გაარჩია საქმე პოლოვნიოვის, რომელსაც გერცენშტეინის მოკვლაში მონაწილეობის მიღება ჰბრალდება. სასამართლომ დაადგინა, ეს საქმე ისევ კივინების სამაზრო სასამართლოს დაუბრუნოს ხელ-ახლა გადასათვალიერებლად დაინტერესებულ მხარეების თანადასწრებით და ახალ განაჩენის გამოსატანად.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრის უქვეშევრდომილეს მოხსენების გამო ხელმწიფემ უმაღლესად ინება გაიმართოს მთელ რუსეთში ხელის მოწერა კოსტრამაში ძეგლის ასაგებად იმის აღსანიშნავად რომ 1913 წელს სამასი წელიწადი სრულდება, რაც რუსეთში რომანოვების სამეფო გვარეულობა მეფობს. ამ საქმის მოსაწყობად უნდა შესდგეს კომიტეტი. კომიტეტში მონაწილეობა უნდა მიიღონ კოსტრომის გუბერნატორის თავმჯდომარეობით სამღვდელოებამ, თავად-აზნაურობამ, ერობამ, ქალაქებმა, სოფლის მამასახლისებმა და სხვებმა.

1904 წლის სისტემის 25 კაპეიკიან ფოსტის მარკის მაგიერ შემოღებული იქნება ახალი სისტემის მარკები.

უმაღლესი მანიფესტი: „წყალობითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა და სხვათა, ვუცხადებთ ყველა ჩვენ ქვეშევრდომთ დიდ სამთავროს ფინლიანდიაში, რომ ჩვენ, თანახმად სეიმის 1906 წლის წესდებისა, საკუთრივ ვცანით: ვუბრძანოთ ფინლიანდიის სეიმს შეიკრიბოს ქალაქ ჰელსინგფორსში 3 (16) დამდეგ თებერვალს. ამიტომ სეიმის დეპუტატები ვალდებულნი არიან დანიშნულ ვადისავის შეიკრიბნენ ქალაქ ჰელსინგფორსში თავიანთ მოვალეობის ასასრულებლად. **ნიკოლოოზ**".

ამოწმებს სტატს-სეკრეტარი **ლანგოვი**.

## კიდევ ჭორების შესახებ

(წერილი ბელაგორიდან)

როგორც თქვენს გაზეთშიაც იყო აღნიშნული, ბელაგორსა და იმის ახლო-მახლო სოფლებში ხმაა გავრცელებული, ვითომ ერთ ებრაელს სოფ. ფარცხნალში, ბელაგორის მახლობლად, მოტყუებით შეერთოს იქაური ქალი და შემდეგ წასულიყოს საზღვრისაკენ მთებში და სხვა ებრაელებთან ერთად ეს ქალი ეწამებინოთ; ვითომ ეს ქალი დანაწვლეტ ადგილის მოსარჩენად უნდა იწვეს ქუთაისის ერთ-ერთ საავადმყოფოში და სხვა.

ამ შეუწყნარებელ ჭორის გავრცელება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: ამ სამი თვის წინად სოფ. ფარცხნალში ერთ იქაურ მცხოვრებს ბიჭის სვანიძეს, რომელიც თვალებით ბრმა ყოფილა, გაუგია, რომ სოფლად დადის ვიღაც ბერძენი ექიმი და არჩენს ყოველგვარ ავადმყოფობასაო. ამ ჭორებით დაიმედებულს ბრმას გაუგზავნია თავისი შვილი და დაუვალებია, მოეძებნა ეს უბრალო ექიმი და მოეყვანა იმის მოსარჩენად. ამ უკანასკნელს მოუგნია უბრალო ექიმის კვალისათვის და კიდეც მიუყვანია შინ მამის თვალების ასახილველად. ცრუ ექიმს აღთქმა მიუცია, მოკლე დროში გავკურნავო. ეს ვაჟბატონი შესდგომია ექიმობას, მაგრამ კარგა ხნის უნაყოფო ექიმობის შემდეგ, იგი დაუთხოვნიათ. იმ ავადმყოფს ჰყოლია გასათხოვარი ქალი, რომელიც ცრუ ექიმს მოსწონებია და [illegible] ქალი [illegible] თანხმებულან, რადგან ცრუ ექიმს არ იცნობდნენ, და უარით გაუსტუმრებიათ. ამის შემდეგ უცნობს გაუცვნია ავადმყოფის მეზობელი იბოლიტე სვანიძე. ამასაც გასათხოვარი ქალი ჰყოლია და იმისთვისაც მიუმართავს, ქალი მომათხოვეო. ისიც ჯერ უარზე დამდგარა, მაგრამ რადგან უცნობს თავი დიდ შეძლების ექიმად უცნობებია, იბოლიტე სვანიძე დასთანხმებია და ქალი მიუთხოვებია. ქორწინების შემდეგ უცნობს წაუყვანია ქალი. გასულა თითქმის სამი თვე და არავითარი ამბავი აღარ მოსვლიათ მშობლებს ქალ-სიძისაგან.

სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია ის საზიზღარი ჭორები, რომელიც ეხლა ხალხშია გავრცელებული და, ვინ იცის, რა მოჰყვება ამ ჭორებს, თუ ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა. საჭიროა უსათუოდ იმ ვაჟბატონის ვინაობის აღმოჩენა, რომ საზოგადოებას ეცნოს, რა ჯურის ადამიანია იგი. ქალის მშობლები შეუძლებლობის გამო ვერსად წასულან, რომ საქმე გამოარკვიონ. მოვიყვან აქვე იმის ადრესს, რომელიც მღვდლის მოწმობაში ყოფილა აღნიშნული: „Тифлисской губерніи, Борчалинскаго уѣзда, села Апретъ крестьянинъ Димитрій Андреевъ Ахвердовъ". მოწმობა მიუცია ამავე სოფლის მღვდელს ანასტას პოპონდოპულოს. თვითონ უცნობს დაუწერია მეორე ადრესი და უთქვამს, ქალაქშიაც მაქვს სახლები და იქაც ვცხოვრობო. ეს ადრესი შემდეგია: მეექვსე საპოლიციო ნაწილი, მუშის ქუჩა, № 9, დ. ა. ახვერდოვი.*)

**რისხვა.**

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **გენერალ ნეიგებაუერის განკარგულება.** 1906 წელს 3 ოქტომბერს ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსმა გენ. ნეიგებაუერმა ბრძანება გამოსცა: ამ ბრძანების ძალით ის დანაშაულებანი, რომელსაც, კა-

*) ამ ადრესით ვიკითხეთ აღნიშნული პირი და აღმოჩნდა, რომ ის მართლაც სცხოვრობდა აქ; აქედან იგი, ეს რამდენიმე ხანია [illegible] წასულა, სადაც მას მამული და სახლები ჰქონია. როგორც სახლის პატრონმა ჩვენგან გაგზავნილ კაცებს გადმოსცა, ახვერდოვს ქალი თანა ჰყოლია და [illegible] ქალს არ [illegible]. ახვერდოვი ქვრივი ყოფილა, წინანდელ ცოლთან ორი შვილი ჰყოლია. ქალაქში მას სახლი არ აღმოაჩნდა. რედ.

## ფელეტონი

## რუსთა შორის

განსაკუთრებული წესები.—მუშების მდგომარეობა 1908 წელს.—ლიტერატურა.—ეროვნული საკითხი.

წინა ფელეტონში შევეხეთ პრესისა, სასამართლოების, სწავლა-განათლების და სახალხო უნივერსიტეტების მდგომარეობას 1908 წელს. ჩვენ ვთქვით, რომ 1908 წელს რუსეთის ცხოვრების ამ დარგებს შესამჩნევი დაკნინება და უკან დაწევა დაეტყო. ასეთ დაკნინებას სხვა დარგებიც განიცდიან და ყველა ამისი მიზეზი განსაკუთრებითი წესები იყო. სანამ სხვა დარგებზე გადავიდოდეთ საჭიროა გავიცნოთ ეს წესები. შეიძლება დიდხანს მოგვიხდეს ამ საგანზე გაჩერება, მაგრამ მკითხველს პატიებასა და პატარა ყურთა სმენას ვთხოვთ.

* *

პირველად განსაკუთრებული წესები 1881 წელს შემოიღეს. მაშინაც, როგორც ეხლა, მთავრობა ამ ზომას არეულობით ამართლებდა. „შემაწუხებელი ამბები და არეულობა სახელმწიფოში გვაიძულებენ დროებით შემოვიღოთ განსაკუთრებული წესები სიმშვიდის დასამყარებლად და არეულობის აღმოსაფხვრელად", სწერდა მაშინდელი მთავრობა და ამით ამართლებდა განსაკუთრებულ წესების შემოღებას. გავიდა მას შემდეგ 23 წელიწადი და 1904 წელს ისევე მოიქცნენ, როგორც 1881 წელს. ისევ „არეულობა", „კრამოლა" და სხვა ამისთანეები მოიყვანეს ამ წესების გასამართლებლად. უნდა მოგახსენოთ, რომ ბიუროკრატია, სიტყვით მაინც, ამ წესებს უვარგისად სთვლის. პირველ სათათბიროს ერთ კრებაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა: სანამ შემუშავებული არ არის რაიმე კარგი კანონი, უნებურად გვიხდება „უვარგისით" ვისარგებლოთო. „კარგის შემუშავება" მოხდა. ეს მაკაროვის კომისიის ღვაწლია, ამისი სიკარგე ახალ სისასტიკის მომატებაში და ძველის დატოვებაში გამოიხატა. ამ წესების თვისება გახლავთ ადგილობრივ ადმინისტრაციის თვითნებობა, ეგრედ წოდებული „უსმოტრენიე", გადასახლება და სხვა ამისთანეები. თუ სადამდის მიდის „უსმოტრენიე" ეს იქიდანაცა სჩანს, რომ დასავლეთ რუსეთის ერთმა გენერალ-გუბერნატორმა გაზეთი იმისთვის დაჰკეტა, რომ გაზეთში სიტყვა „უდიდებულესობა" წვრილის ასოებით იყო დაბეჭდილი, რაშიაც გენერალ-გუბერნატორმა ხელმწიფის უპატივისცემლობა და ეხლანდელ წეს-წყობილებათა წინააღმდეგობა დაინახა. ახლა იანგარიშეთ, რამდენი ამისთანა მაგალითი იყო რუსეთში და ნათლად დაინახავთ „უსმოტრენიეს" სურათს. თვითნებობის აღნუსხვას აქ არ შევუდგებით, მაგალითები ყოველ დღე იბეჭდება გაზეთებში. ესეც რომ არ იყოს, „უსმოტრენიე" რუსეთში ყოფილა და მგონი იქნება კიდეც, განსხვავება ეხლა იმაშია, რომ ეს „უსმოტრენიე" თავის უმწვერვალეს განვითარებამდე მივიდა და მით სოფლის ურიადნიკიც კი სარგებლობს.

მეორე დამახასიათებელი თვისება, როგორც ზევით მოგახსენეთ, ადმინისტრატიული გადასახლებაა. რა თქმა უნდა, უფლებრივ სახელმწიფოში ამისთანა ზომას არ მიმართავენ, რადგან ამით საწადელს ვერც ერთი სახელმწიფო ვერ მიახწევს. რუსეთში კი, სადაც ყველაფერი ფრჩხილებიანია, ამ ზომას არ ერიდებიან. ამის შესახებ მეორე სათათბიროში წაკითხულ დეკლარაციაში მთავრობა აცხადებდა, რომ ახალ კანონ-პროექტით ადმინისტრატიული გადასახლება მოისპობაო. მართლაც და ამ კანონ-პროექტით გადასახლება მოსპობილია, მაგრამ მიუხედავად ამისა, გადასახლება უფრო გაძლიერდა. ეს კიდევ არაფერი. სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენეები წინადადებას აძლევენ მთავრობას, ციმბირის მივარდნილ ადგილებში ცალკე კოლონიები დაარსე პოლიტიკურ გადასახლებულთათვის და ნუღარც ფულით შემწეობას აღმოუჩენთო. ამ რიგად მოსპობის მაგიერ შეიძლება უფრო გაძლიერდეს ეს ზომა. რომ ამით მიზანს—ხალხის დამშვიდებას—ვერ აწევენ, ეს ყველასათვის თვალსაჩინოა. იშვიათია ოჯახი, რომლის ერთი წევრი მაინც არ იყოს გადასახლებული. ოჯახი, რომელიც თავის მარჩენელსა ჰკარგავს, დიდის სიმპატიით არ გაიმსჭვალება ამ წეს-წყობილების მიმართ. თვითონ გადასახლებულებზე აღარას ვიტყვი.

ახლა საპყრობილეები... საპყრობილეები ისეა სავსე, რომ აღარ იციან, სად წაიყვანონ ტუსაღები. პეტერბურგში ერთ გაზეთის რედაქტორს საპყრობილე გადაუწყვიტეს, მაგრამ—დახე უბედურებას!—ადგილი აღარ აღმოჩნდა და რედაქტორს მოაცდევინეს. როცა რედაქტორს ლოდინით გული გაუწყალდა, შეიკრა ბარგი-ბარხანა და პროკურორს კარებზე მიადგა, სანამ საპყრობილეში ადგილს არ მიშოვნით, არ წავალ აქედანაო. მხოლოდ ამის შემდეგ დაფაცურდა საპყრობილის ადმინისტრაცია. როგორც იყო სადღაც კუნჭულში უპოვეს ადგილი. როდესაც განსაკუთრებულ წესებზე ჰქონდათ ლაპარაკი, გრაფ იგნატიევის კომისიაში სენატორმა დურნოვომ (სენატორმაც კი აღარა!) სთქვა: „არავინ არ არის უზრუნველ-ყოფილი დატუსაღებისაგან, და ადმინისტრაციას ასეთ მოქმედებით სიძულვილი შეაქვს ხალხშიო". დატუსაღებას, ადმინისტრაციის „უსმოტრენიას", გადასახლებას, გაძევებას ზედ დაერთო სამხედრო-საველე სასამართლოებიც. სატახტო ქალაქის ერთი გაზეთი ამაზე სწერს: „მშვიდობიან დროის სამხედრო სასამართლოში ყველაფერი არა ჩვეულებრივია: ისიც რომ მოქალაქეებს სამხედრო პირები ასამართლებენ, ისიც რომ მშვიდობიან დროს სამხედრო კანონებით ხელმძღვანელობენ. მაგრამ ერთი რამ არის, რასაც სამხედრო კანონებში ვერ ნახავს კაცი. მისი წამოშობა მხოლოდ განსაკუთრებულ წესების ბრალია. თუ სამხედრო კანონების მიხედვით სიკვდილით ისჯება ის, ვინც მოფიქრებულად მკვლელობას ჩაიდენს, ან ძარცვა-გლეჯას, ყაჩაღობას დაიწყებს, განსაკუთრებულ წესებით სიკვდილით ისჯება; ამას გარდა, უბრალო განზრახვა მკვლელობისა, უმნიშვნელო დაჭრა და სხვა. თუ სამხედრო სასამართლოს, სამხედრო კანონებით, ძალიან ცოტა უფლება აქვს დამნაშავეს სასჯელი შეუმსუბუქოს, განსაკუთრებულ წესებით სასამართლოს სულ არა აქვს ეს უფლება". სამხედრო-საველე სასამართლოზე აღარას ვიტყვით. 24 საათის განმავლობაში კაცი დასახვრეტად მიჰყავთ. თვით ომის დროსაც იშვიათად მიმართვენ ხოლმე ამნაირ სასამართლოებს. სიკვდილით დასჯამ წინა წლებთან შედარებით არამც თუ იკლო, უფრო იმატა. 1907 წელს სიკვდილით დასაჯეს, ჩამოახრჩვეს და დახვრიტეს, 628 კაცი, 1908 წელს კი თერთმეტი თვის განმავლობაში 661 კაცი დახვრიტეს და ჩამოახრჩვეს; თუ ბოლო თვისასაც მივუმატებთ, გაცილებით მეტი გამოვა.

აი რა პირობებში იყო რუსეთი 1908 წელს.

* *

როგორც ზევით მოგახსენეთ განსაკუთრებულმა წესებმა რუსეთის ცხოვრების ყველა მხარეზე იქონიეს გავლენა, ყველაფერს დაკნინება და უკან დაწევა ეტყობა. დღევანდელ ფელეტონში შევეხებით მუშათა და ეროვნულ საკითხს, ლიტერატურას, მუსიკას, თეატრს და ამით გავათავებთ რუსეთის ცხოვრების მიმოხილვას. არც დრო და არც ადგილი არ არის დაწვრილებით შევეხოთ ყველა დარგებს. ამას მთელი წელიწადი მოვუნდებით, 1909 წელმაც უკვე თავისი ნაყოფი გამოიღო, უკვე 16 დღე გავიდა და ამ დროს ბევრი რამ აღსანიშნავი მოხდა, მის უყურადღებოდ დატოვება კი არ შეიძლება.

დავიწყოთ მუშების მდგომარეობიდან. თქვენც მოგეხსენებათ, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობის ერთი უპირველესი მომქმედნი მუშები იყვნენ. ამიტომ ცხადია რომ მათ უნდა დასწოლოდათ რეაქციის სუსხიც. გასულმა წელმა ბევრი რამ უბედურება მოუტანა მუშებს. კანონმდებლობას მათთვის სრულად არ უზრუნვია. მართალია, ფინანსთა მინისტრმა რამდენიმე კანონი გამოსცა მუშათა შესახებ, მაგრამ ისეთი უმნიშვნელონი, რომ მათ მუშათა ცხოვრებაში არავითარი ცვლილება არ შეუტანიათ. უსაქმოდ დარჩენილთა რიცხვი ისე გამრავლდა, რომ მთავრობისათვისაც საშიში გახდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რეპრესიების მეტი არაფერი გაკეთებულა. გაჰქრა, სადღაც წავიდა განმათავისუფლებელი ხანა. წინანდელი თავგამოდებული ბრძოლა არსებობისთვის აღარსად სჩანდა გასულ წელს. კლასიური შეგნება, რომელიც ესე ნათლად გამოსჭვიოდა წინა წლებში, აღარსად იყო. მისი მაგიერობა ერთმანეთის ქიშპობამ და სამუშაოს შეცილებამ დაიჭირა. წინა წლების მოთხოვნილებები გაჰქრა, იმის ნაცვლად სამუშაო მიმცემლების წინაშე ქედის მოხრა და [illegible] გასულ წელს. პროფესიანულური კავ-

ნონის ძალით, მომრიგებელი მოსამართლე არჩევს, ადმინისტრატიულის წ[illegible] [illegible]. ეხლა გენ. ნეიგებაუერს ახალი განკარგულება გამოუცია, რომლითაც ამნაირი დანაშაულებანი ისევ მომრიგებელმა მოსამართლეებმა უნდა გაარჩიონ.

**ბათუმის ოლქის უფროსი.** როგორც გადმოგვცეს ყარსის ოლქის უფროსის თანაშემწე ელიარბეკ-გაშიმ-ბეკოვი ინიშნება ბათუმის ოლქის უფროსად.

**უმაღლეს კურსებზე.** დღეს, საღამოს 6 საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად, სტ. ლისიციანი წაიკითხავს უკანასკნელ ლექციას სომხების ისტორიის შესახებ.

**სკოლა მუშებისთვის.** ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის ქართული სექცია გთხოვს გამოვაცხადოთ მუშების საყურადღებოდ, რომ ვერის სკოლაში, ოლგის ქუჩაზე, № 52, ორშაბათიდან (19 იანვარიდან) მიიღებიან მოსწავლეებად მუშები. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ყოველ დღე საღამოს 6—8 საათამდის, გარდა კვირა დღისა. შეუძლიანთ განაახლონ სწავლა აგრეთვე ძველ მოსწავლეებს, რომელნიც დღესასწაულების შემდეგ არ გამოცხადებულან.

**სახალხო კითხვები.** კავკასიის საექიმო საზოგადოება, კვირას 18 იანვარს საღამოთი, საექიმო საზოგადოების სადგომში (გოროგიევის ქუჩა, სახლი № 4, ალექსანდროვის ბაღთან) გამართავს სახალხო კითხვებს. ბავშვებისთვის წაიკითხავს ნ. ი. პეტროვსკი, იუზაშვილი რუსულ ენაზე (4-ნახევრიდან 5-ნახევარ საათ.) „როგორ სცხოვრობენ და მუშაობენ ჭიანჭველები"; დიდებისათვის, რომ ლზედაც ბავშვებს არ შეუძლიან დასწრება, წაიკითხავენ ანატომიისა და ფიზიოლოგიის კურსს ქართულად ექიმი ვ. დ. ღამბაშიძე (5-ნახევრიდან 6-ნახევრამდის) და რუსულად ექიმი ნ. დ. ხატისოვი (6-ნახევრიდან 7-ნახევარ საათ.)

**ტრამვაის შეჩერება.** რადგაც გამოურკვეველ მიზეზების გამო გუშინ 16 იანვარს, დილის 10 საათიდან ნახევარი საათით შესწყდა ტრამვაის ვაგონების მიმოსვლა. შემდეგ ერთი საათის განმავლობაში ვაგონები ისე ნელა დადიოდნენ, რომ გაოცებული მგზავრები ვაგონებიდან ხტებოდნენ და ფეხით უსწრობდნენ.

**ბანკის თამაშში მოგებული** ფული. შარშან „ტფილისის სობრანიეს" წმინდა მოგება ჰქონია 17,740 მანეთი. მარტო ბანქოს თამაშობიდან შარშან „სობრანიეს" აუღია 24,527 მანეთი.

**ბაქოს ქალაქის საბჭო.** გუშინ უკვე ვწერდით ბაქოს ქალაქის საბჭოში მომხდარ ინციდენტის შესახებ. ბაქოდან „ტ. ლ." დამატებით ცნობებს აწვდიან. ბაქოს გრადონაჩალნიკს ხმოსნებისთვის ცარცვა-გლეჯის შესახებ თათბირი აუკრძალნია იმიტომ, რომ ეს საკითხი საბჭოს კომპეტენციაში არ შედისო. როდესაც ქალაქის თავს გრადონაჩალნიკის პასუხი ხმოსნებისთვის უცნობებია, ხმოსანს სულთანოვს ცრემლები მოჰრევია და საბჭოსთვის წერილი უჩვენებია, სადაც 1000 მანეთს სთხოვენ და თუ არა შვილის მოკვლით ემუქრებიან. გრადონაჩალნიკის პასუხის შემდეგ, როგორც უკვე გვქონდა, ხმოსნებმა საბჭოს სხდომას თავი დაანებეს და განაცხადეს, აღარ ვივლით, სანამ ნებას არ მოგვცემენ გავარჩიოთ ეს საკითხიო. ამის შემდეგ ხმოსნებს კერძო თათბირი გაუმართნიათ და დაუდგენიათ, მეორედ სთხოვონ ნებართვა გრადონაჩალნიკს. გრადონაჩალნიკს მეორეთაც უარი უთქვამს. ხმოსნებს მეორე კერძო თათბირი გაუმართავთ და დაუდგენიათ, ნამესტნიკთან დეპუტაცია გაჰგზავნონ.

**სპილენძის წარმოება კახეთში.** ალავერდის სამრეწველო და სამეტალლურგიო საზოგადოებას რომელსაც ბორჩალოს მაზრაში სოფ. ალავერდში სპილენძის ქარხნები აქვს, თელავის მახლობლად ყარალაშვილების მამულში (კახეთი) იჯარით აუღია 6,000 დესეტინა, სადაც სპილენძის მადნებია. „საზოგადოება" უკვე შესდგომია მუშაობას და მაღაროების კეთებას; ჯერჯერობით განზრახული აქვს მადნის ქვა გადაზიდოს გადასადნობად ალავერდის ქარხნებში. ახლო მომავალში კი განზრახულია ადგილობრივ გამართოს ქარხნები და იქვე გადაადნოს სპილენძი. საზოგადოებას მამულები აუღია იჯარით ჯერჯერობით ხუთი წლით. (ჩ. ხ.)

**გაფიცვა.** ორშაფათიდან დაწყებილი ქართველთა ამხანაგობის სტამბაში გაფიცვაა.

**ახალი გაზეთი.** ი. გ. კარგარეთელმა გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა ნება მიეცეს გამოსცეს ქართულ ენაზე „ქართული სამუსიკო გაზეთი".

**ოძისის სკოლა.** ოძისში, როგორც ვიცით, სასოფლო სამეურნეო სკოლის დაარსებაა განზრახული. თუ რა ტიპისა უნდა იყოს ეს სკოლა ამისთვის ამორჩეული იყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაუდგენია ოძისში დაარსდეს ვარვარინოს (ჩერნიგოვსკის გუბერნიაში) სკოლის მსგავსი სასწავლებელი.

**„ნოვოროსიისკის რესპუბლიკის" საქმე.** როგორც ვწერდით უკვე გაირჩა ეგრედ წოდებულ „ნოვოროსიისკის რესპუბლიკის" საქმე. პროკურორს სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია. ამას გარდა ის ადგილობრივი ნაფიც ვექილების, რომელნიც ბრალდებულთა დამცველებად გამოვიდნენ, ნოვოროსიისკიდან გაუძევებიათ.

**ეპისკოპოს დიმიტრის მოკვლის განზრახვა.** „ბათუმ. გოლ."-სიტყვით, 5 იანვარს სოხუმის პოლიციას ცნობა მიუღია, რომ ეპისკოპოსი დიმიტრის მოკვლას უპირობს ეხლა-ხან სოხუმში ჩამოსული ბერიო. პოლიცმეისტერის განკარგულებით, ბოქაულს შეუპყრია ეს ბერი, რომელსაც თავის თავისთვის ჩაპლინი უწოდებია. ჩაპლინს განუცხადებია ბოქაულისათვის, მე ვიცი ის პირები, რომელთაც განზრახული აქვთ ეპისკ. დიმიტრის მოკვლაო. ამასთან უამბნია, თუ როგორ შეიპყრო მან პოლიტიკური დამნაშავეები და სახელმწიფო სათათბიროს რომელიღაც დეპუტატის მკვლელები. ჩაპლინის ჩვენებით, ბოქაულმა ახალათონში შეიპყრო ტეხნიკოსი კაპლუნი, რომელსაც აღმოსჩენია, სხვათა შორის, ბაკუნინის, სპირიდონოვას და სხვათა სურათები. შეუპყრიათ აგრეთვე ზეინკალი დანილოვი, რომელთანაც კაპლინი დაიარებოდა.

**შეურაცხყოფილი გამგეობა.** მ. ნ. ზუბალაშვილის განცხადებამ ქალაქის გამგეობაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ქალაქის გამგეობა შეურაცხყოფილად სცნობს თავს. გამგეობამ საბჭოს მოსთხოვა ზუბალაშვილის განცხადების გამო ნდობის გამოცხადება. თუ საბჭომ გამგეობას დამაკმაყოფილებელი პასუხი არ გასცა, როგორც ამბობენ, გამგეობა სამსახურიდან გადადგება ერთი სიტყვით, „კაბინეტის" კრიზისი დადგა. ვნახოთ, რით გათავდება საქმე.

**ტფილისის ქალაქის გამგეობამ** გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა საბჭოს დადგენილება საავჭრო დეპუტატების არჩევის შესახებ.

**წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ სოფ. ვაკეშაში** საზოგადოების სკოლის მასწავლებლად დანიშნა ძაძამიძე.

**ტფ. საბჭოს შემდეგი სხდომა** დანიშნულია 19 იანვრისათვის.

**გუნიბის ქუჩაზე ქავთარაძის სახლში მცხოვრებს კოლ. არს. ქიტლოვმა** პოლიციას განუცხადა, რომ 13 იანვარს ჩემი მოსამსახურე ქალი ალექსანდრა კაუროვა საღამოთი აბანოში წავიდა და აღარ დაბრუნებულაო.

**ხვალ საღამოთი ტფ. ქალაქის საბჭოს დარბაზში** დანიშნულია კერძო თათბირი ხმოსნებისა. უნდა მოილაპარაკონ ქალაქის საქმეთა საკრებულოს საბჭოს წარმომადგენელის არჩევანის შესახებ.

**15 იანვარს,** ნაშუადღევს 1 საათზედ, სომეხთა სასაფლაოსთან პახელ დიმიტრიევს თავს დასცემია 4 შეიარაღებული კაცი, რომელთაც ტანისამოსი გაუხდიათ მისთვის.

**15 იანვარს დააპატიმრეს** ივანე და ნიკოლოზ კამირელიძეები, რომელთაც პოლიციის ცნობებით ოჯანეზოვის ბაკიდან საქონლის მოპარვა სდომებიათ.

## წერილები

**ოზურგეთი.** 4 იანვარს სცენის მოყვარეთა თაოსნობით და ახალ ქალაქის თავის დახმარებით გაიმართა წარმოდგენა აქაურ საცოდავ სამკითხველოს სასარგებლოდ. შარშანაც შეეცადნენ სამკითხველოს ფეხზე წამოყენებას, იმ სამკითხველოსა სადაც დღეს ორიოდე წიგნი-ღაა მხოლოდ. გარეულზე კი სრულიად ნუ შეიწუხებთ თავს. სრული ორი წლიწადია ამ სამკითხველოში კაცი არ შესულა და ან რომ შევიდეს, რითი უნდა დაკმაყოფილდეს. ერთი საცოდავი შკაფია და ისიც ჩაკეტილია. ეხლა გადასწყვიტეს განაახლონ და აკაკის პატივსაცემლად მისი სახელი უწოდონ.

დასდგეს წარმოდგენა. საზოგადოებამაც თანაუგრძნო ამ სიმპატიურ მიზანს და ბლომად დაესწრო. ყველა ბილეთი გაიყიდა. დარბაზი გაჭედილი იყო. მაგრამ რა ამნაირ დასწრებას! წარმოუდგენელი უწეს-რიგობა იყო. ხშირად უნებურად მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ საზოგადოებას რაღაც განუკურნავი სენი სჭირს, რომ მან თეატრში ყოფნის დროს სულ არაფის თავის დაჭერა. ეს მარტო ოზურგეთში არ არის, ტფილისშიაც არა ერთხელ დავწრებივარ ქართულ წარმოდგენას და იქაც ეს მინახავს. ოზურგეთში რასაკვირველია ყველას აჭარბებს: შემწუხარებელი ხმაურობა, სხვების ადგილის დაჭერა, უბილეთოდ შესვლა და სხვა! თეატრის გამგეობა როგორ არ ეცადა, რომ წესი და რიგი დაეცვა, მაგრამ ვერას გახდა. თვით თეატრი (ვიწრო ზალა თავ-თ-მმართველობისა) ძლივ-ძლიობით იტევს ას ორმოც კაცს. მოთხოვნილება კი თეატრისადმი დიდია. წარმოდგენები ხშირად იმართება და ზალა მუდამ ხალხით სავსეა. რომ უკეთესი პირობები იყოს, თეატრის საქმე გაცილებით უფრო კარგად წავა. შარშანაც ვწერდი და ეხლაც ვიმეორებ, რომ აუცილებლად უნდა ვეცადოთ თეატრის აშენებას. თუ გინდ უბრალო ხისა იყოს მხოლოდ საკუთარი შენობა ჰქონდეს თეატრს. თორემ ამნაირ პირობებში ხალხს გულს აუცრუებთ. ეხლაც გაისმის უკმაყოფილება: „ბილეთი ვიყიდე, ფული გადავიხადე და ჩემი ადგილი-კი ვერ ვიპოვნე". ეხლავე უნდა ვიზრუნოთ ამ საქმისათვის. მცირე ნაწილი ინტელიგენციისა ვითომ კიდეც შეუდგა საქმეს; აარსებს ამ მიზნით დრამატიულ საზოგადოებას და სცდილობს განახორციელოს ეს ფრიად სიმპატიური მიზანი. სცდილობს, მაგრამ ხელის შემშლელი უფრო მეტი ჰყავს, ვიდრე შემწეობი. ვუსურვებთ წარმატებას.

თვით წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა. დასდგეს აკაკის „ნათელა", გადაკეთებული სცენისათვის პეტრე ბებურიშვილის მიერ. ფუთი გადმომკეთებელმა მიიღო მონაწილეობა და კარგადაც ითამაშა. კარგი იყო აგრეთვე ქ-ნი მარიამ ნაკაშიძე. სხვა მოთამაშენი ძველი სცენის მოყვარენი იყვნენ და სინდისიერად ჩაატარეს თავიანთი როლები, რამდენადაც პირობები ხელს უწყობდა.

გ. ჭ—ლელი.

**გარეთ-კახეთი.** ჩვენის თემტომისტების ყურიდს კავკასიაში განზრახულ რეფორმათა შემოღების შესახებ გარე-კახეთი მეტად იჭვიან თვალით შესცქეროდა, მაგრამ მალე დარწმუნდა ამ იჭვის უსაფუძვლობაში. შემოდგომაზედ აღირსეს ს. საგარეჯოს ბოქაულის თანაშემწის თანამდებობა ათის სტრაჟნიკით, რომელთაც მეტად ერთგულად დაიწყეს სახელმწიფო გადასახადების კრეფა გარე-კახეთში. გლეხობაც, რაც კი შეეძლო, სცდილობდა ფული ჩქარა გადაეხადნა სხვა და სხვა უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მაინც ბევრი გლეხის ეზოში ფართხალებდა დახოცილი ინდოურ-ქათამი. ისეთი შემთხვევებიც იყო, როდესაც გლეხს მზადა ჰქონდა გადასახადი ფული, მაგრამ მაინც ვერ ასცდა ინდოურის გადაკარგვას.

დეკემბრის პირველ რიცხვებში მთავრობის მამასახლისებიც გამოგვიგზავნეს: ერთი პატარძეულსა და ერთიც საგარეჯოში. მთავრობის მამასახლისებად ოსები არიან. თითო მამასახლისს ოთხ-ოთხი სტრაჟნიკი ჰყავს, ყველანი ოსები. ესენი უფრო ბეჯითად შეუდგნენ გადასახადების კრეფას და იანვრის პირველამდის უკვე მთელი ხარჯი გადახდილი იყო. იანვრიდან შეუდგნენ შემოსავლობის დროს დარიგებულ პურის ფასის გადახდევინებას. ხალხი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშია, მაგრამ ძალა აღმართის მხვნელია. დეკემბრის შუა რიცხვებში ბოქაულის თანაშემწე და საგარეჯოს მთავრობის მამასახლისი სტრაჟნიკებით გათენებისას მივიდნენ იგრის პირას მცხოვრებ აგაბეკოვის სახლის გასაჩხრეკად. აგაბეკოვს სახლში ორი შეიარაღებული დარაჯი ჰყავდა. სიბნელეში ვერ გაერჩიათ პოლიციელები და აგაზაკები ჰგონებოდათ. ამიტომდაც თოფის სროლა. თოფის ხმაზედ პატარძეულიდანაც ჩამოვიდა მამასახლისი სტრაჟნიკებით. პოლიციელთაც ისე ჰგონებოდათ, რადგან სროლა აგვიტეხეს, შიგ აგაზაკები არიანო. პოლიციელებს მოუკლეს სოფლის ყარაული გრიგოლაშვილი და ერთი ცხენი, ერთი ცხენიც დაუჭრეს: ასე ათ საათზედ სახლიდან სროლა შესწყდა. რამდენსამე ხნის ლოდინის შემდეგ შეამტვრიეს კარებები და შიგ ერთი მკვდარი სომეხი დაჰხვდათ, მეორე სროლის დროს გაპარულიყო და იქვე ახლო მდებარე მამულში შეფრა აგაბეკოვის მეიჯარეს ეცნობებინა, აგაზაკები დაგვეცნენო. მასაც კაცი ეფრინა სართიჭალის ბოქაულთან, დაგვეხმარეთო. სართიჭალიდან ბოქაულმა ყაზახები გაგზავნა.

წარმოადგენენ მათი [illegible] რო-ცა [illegible] ფეთ[illegible]

ტფ. ქალაქის საბჭო

## ტფ. ქალაქის საბჭო

15 იანვარი.

ტფ. საბჭოს სხდომა 15 იანვარს ალ. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით მოხდა. სხდომას ჩვეულებრივზე, მეტი ხმოსანი დაესწრო, რაც აიხსნება იმით, რომ ამ სხდომას, სხვათა შორის, უნდა განხილულიყო განცხადება ნ. ზუბალაშვილის. და ხმ. ვართანოვისა იმის შესახებ, რომ საბჭოს გაუქმებინა 30 დეკემბრის დადგენილება გამგეობის წევრთათვის ფასის ქირად 900 მან. დანიშვნის შესახებ.

საბჭოს პირველად განსახილველად წარუდგინა დიდი ხნიდან აღძრული საკითხი—ტფილისში პროსტიტუციის საქმის მეთვალყურეობა ქალაქის თვითმართველობას მიენდოს. ჯერ კიდევ ათი წლის წინად განიხილა საბჭომ ეს საკითხი და დაადგინა, შესაფერ შუამდგომლობის აღძვრა. ამაზე მთავრობამ ქალაქს უპასუხა, კაიდე ხარჯი მეთვალყურე ორგანიზაციის შესანახად, ხოლო უფლება მეთვალყურეობისა ისევ ადმინისტრაციას დარჩებაო. ეხლა ხელახლა წარუდგინა საბჭოს ეს საკითხი საბჭომ დაადგინა, მთელი მასალა მოხსენების შესადგენად გადაეცეს მცხოვრებთა ჯანმრთელობისთვის მზრუნველ კომისიას.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია მოხსენებამ ვ. გ. მირზოევის მიერ ნაანდერძევ მამულების შესახებ. ამ რამდენიმე წლის წინად გარდაცვალებულმა ვ. მირზოევმა ქალაქს უანდერძა ორი მამული—ფრეილინისა და კონსულის ქუჩაზე. ანდერძში ნათქვამია, მამულები გადაეცეს „Въ веденіи города"-ო. ამ სიტყვას ეჭვი აღუძრავს გამგეობაში. შესდგომიან გამორკვევას, რას ნიშნავდა ეს სიტყვა. მამულები მირზოევის მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქალაქისა იქნებოდა თუ ქალაქს მარტო მართვა-გამგეობა ევალებოდა და შემოსავლის მიღება. შემდეგ ქ-ნი მირზოევისა მოსთხოვებია ი. ა. სულხანიშვილს, რომელსაც ცოლისაგან შეუძენია კონსულის ქუჩაზე ნაანდერძევ მამულის ერთი ნაჭერი (300 საჟ.) აღძრულა საკითხი—ჰქონდა თუ არა მირზოევის ცოლს ნაანდერძევ მამულის ნაწილის გაყიდვისა. გარდა ამისა, ფრეილინის ქუჩაზე მდებარე მამული მოანდერძეს სიცოცხლეშივე ცოლისათვის დაუგირავებია 28,000 მანეთად. ეს საქმე წინად იურის კონსულტებს გადასცეს. უკვე გარდაცვალებულ იურის კონსულტს სტეფანოვს გამგეობისათვის მოეხსენებია, რომ, ანდერძის აზრით, აღნიშნული მამულები მხოლოდ განკარგულებაში იქნება და არა საკუთრებაში, ხოლო ეხლანდელ იურისკონსულტს მამულები ქალაქის საკუთრებად უცვნია. საბჭომ დაადგინა, ზემოდ აღნიშნულ საქმეთა გარემოებათა განხილვა და თავის აზრის გამოთქმა დაავალოს საბჭოს იურიდიულ კომისიას.

საბჭოს შემდეგ წარედგინა 5 ხმოსნის განცხადება. ეს ხმოსნები თავიანთ განცხადებაში ამტკიცებდნენ, 30 დეკემბერს საბჭომ ტ. ა. ენფიანჯიანცი უკანონოდ აირჩია ქალაქის საქმეთა საკრებულოში საბჭოს წარმომადგენლადაო. ეს არჩევნები განსახილველ საქმეთა იაში არ იყო აღნიშნულიო. საბჭომ ხმის უმრავლესობით დაადგინა, გაუქმდეს 30 დეკემბრის არჩევანი. მოხდება ახალი არჩევნები.

საყურადღებო და მწვავე კამათი გამოიწვია მ. ნ. ზუბალოვისა და ხმ. ვართანოვის განცხადებამ—გაუქმებულიყო საბჭოს 30 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც გამგეობის წევრებს ფასის ქირად თითოს 900 მ. დაენიშნა. სხვათა შორის ბ-ნი ზუბალაშვილი თავის ვრცელ განცხადებაში ამბობს: გამგეობის მიერ მიღებული დონის აღებანი ქალაქის თვითმართველობის მოვალეთა შტატის შემცირების შესახებ [illegible] ზე საბჭოს სურვილს, მაგრამ [illegible] ბამ ეს დონისძიებანი მარტო [illegible] მოხელეთა წინააღმდეგ იხმარა. გამგეობამ შეუწყალებლად გამაგირა პატარა მოხელეებს, ხოლო თითონ მოიმატა სწორედ იმდენი, რამდენიც მოტეხას და

**ბანკის თამაშში მოგებული**

[...]შირებიც არაფერს აკეთებდნენ. მათი არსებობა ვერავითარ კვალს ვერა სტოვებს მუშათა ცხოვრებაში და ის ცოცხალი მკვდარია, თუ სულ გამქრალი არა. ამის უპირველესი მიზეზი რეაქციაა, რომელმაც ყოველ მხრივ შეზღუდა მათი მოქმედება და რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა ახალ პროფესიონალურ კავშირების დაარსებისთვის ნება არ დაერთო. მუშა ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ მას არა თუ არ შეუძლიან თავის მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ წინანდელის შენახვაც. ცხოვრება ჯერ კი კრიზის განიცდის, სადაც მას წინანდელი სამუშაო ქირა ეძლევა. 1908 წელს ყველაფრის ფასმა აიწია. მთავრობა და ქალაქის თვითმართველობები ამას ყურადღებას არ აქცევდნენ; თვითონ მუშებიც რა სცდილობდნენ ამ საქმის მოგვარებას თუნდა მომხმარებელთა საზოგადოებების დაარსებით, რაიც უფრო ხელს უწყობდა სპეკულიანტებს გაეძვირებინათ სასმელ-საჭმელი და უფრო ცუდ გარემოებაში ჩაეყენებინათ მუშები. რა გააკეთა მთავრობამ ამის ასაცილებლად? არაფერი. არც სახელმწიფო სათათბიროს, უზრუნვია ამისთვის. მან უფრო გააფუჭა მუშათა მდგომარეობა. როგორც მკითხველს მოეხსენება, სათათბირომ მოიწონა 9 ნოემბრის კანონი. იქნებ გაიკვირვოთ, მუშებზე რა გავლენა შეუძლიან იქონიოს 9 ნოემბრის კანონის დამტკიცებამაო, ის ხომ თემს არღვევს და თუ ზარალს მოუტანს ისევ სოფლის გლეხებსაო. მართალია ეს კანონი სოფლის გლეხებს შეავიწროვებს, მაგრამ ერთ რამეს ნუ დაივიწყებთ. საქმე იმაშია, რომ როცა მუშა ბერდება და ქარხანაში მუშაობა აღარ შეუძლიან, (მუშაობის უნარის დაკარგვის შემდეგ რუსეთში, მუშებს ულუკმა-პუროდ გააგდებენ ხოლმე კარში) ისევ სოფელს უბრუნდება ხოლმე. აი აქ მას თემი შემწეობას უწევდა, დაბრუნებულ მუშას თავისუფალ ადგილს აძლევდა, შეელოდა სახლის შენებაში დასხ ვა. თუ თავისუფალი ადგილი არ მოიპოვებოდა, მაშინ სასახლეს, საბოსტნე და ცოტა ოდენ სახნავ მიწას მაინც აძლევდა. თემი ამნაირ ინვალიდს. ეხლა უსეც მოისპო. მომავალში ამ ინვალიდების რიცხვი უფრო გამრავლდება.

* * *

ლიტერატურა. ერთი წელიწადი ლიტერატურის ისტორიისთვის ისეთი პატარა ხანია, რომ მას არ შეუძლიან შესამჩნევი კვალი დასტოვოს ცხოვრებაში. ამიტომ მოკლედ ავღნუსხავთ ლიტერატურის მდგომარეობას გასულ წელს. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ საგნის შესახებ ორი აზრია რუსეთში. ერთნი ამტკიცებენ, რომ რეპრესიებმა და რეაქციამ თავისი გავლენა იქონია და ლიტერატურა დაქვეითდაო, მეორენი სულ საწინააღმდეგოს ამბობენ—არა თუ დაქვეითდა, შესამჩნევად აიწიაო. აქვე უნდა აღვნიშნოთ სქელ ჟურნალების მხატვრულ ბელეტრისტიკის მხრივ დაქვეითება. ამათ ეკუთვნიან „ვესტნიკ ევროპი", რომელიც ეხლა ახალ რედაქციით გამოდის, „ობრაზოვანიე" და „მირ ბოჟი", რომელიც აღარ გამოდის. წლის დამლევს რამდენიმე უმნიშვნელო ჟურნალი გამოვიდა. „რუსკოე ბოგატსტვომ", „რუსსკაია მისლმა" და „სოვრემენი მირმა" კიდევ ცოტად შეინახა დამოკიდებულება მხატვრულ ბელეტრისტიკასთან, მაგრამ წინა წლებთან შედარებაც არ შეიძლება, თუმცა „რუსკოე ბოგატსტვოს" ისევ კოროლენკო ამშვენებს. რუსულ მხატვრულ ლიტერატურის წინმსვლელობა კაცმა ისევ კრებულებში და ალმანახებში უნდა ეძიოს. ამ კრებულებში იღებენ მონაწილეობას ისეთი მწერლები, როგორიც არიან ლეონიდ ანდრეევი, გორკი, სოლოგუბი, ბრიუსოვი, ბალმონტი და სხვანი. გორკიმ ამ წელს დასწერა „აღსარება", „უვარგისი კაცის ცხოვრება". ლეონიდ ანდრეევმა—„სტუდენტის ცხოვრება", „მეფე შიმშილი", „მოთხრობა შვიდი ჩამოხრჩობილისა", ის „ჩემი დღიური", და სხვა. სოლოგუბმა მთელი რომანი, ბალმონტმა და ბრიუსოვმა-კრებულები გამოსცეს თავიანთ ლექსებისა, და სხვა. აღარ ვიხსენიებ სხვა ძველ და ახალ მწერლებს.

* * *

დასასრულ, ცოტა რამ ეროვნულ საკითხზე მინდა მოგახსენოთ. არც ერთ საკითხს ისე ძლიერად არ განუცდია რეაქციის სუსხი, როგორიც ამ საკითხმა განიცადა. გასულ წელს არაფერი არ გაკეთებულა ამ საქმისთვის. კანონმდებლობა თითქმის სულ არ შეხებია მას. ერთად-ერთი საკითხი, რომელიც სათათბიროში გაირჩა, შეეხებოდა ლიტვურ და პოლონურ ენების ხმარებას სამოსწავლო სემინარიებში და ამასაც არავითარი პრინციპიალური ხასიათი არა ჰქონია. ამასაც-კი დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მემარჯვენეებმა. თუ კანონმდებლობას არაფერი გაუკეთებია ამ მხრივ, ადმინისტრაციამ ძალიან ბევრი გააკეთა. ეს უკანასკნელი ყოველთვის აჭარბებს ხოლმე თავის მოვალეობას! ადმინისტრაციის მოქმედებამ უფრო შეზღუდა ისედაც შეზღუდული ნაციონალური უფლებები. ის შეღავათი, რომელიც ებრაელებმა 1905 წლის შემდეგ მიიღეს სასწავლებლებში შესვლის დროს, გასულ წელს სადღაც გაქრა. ამას გარდა პროცენტით მიღება ისეთ სასწავლებლებზედაც გაავრცელეს, რომელთაც წინად არ ეხებოდა ეს კანონი. გეხსომებათ ვარშავის გენერალ-გუბერნატორის ბრძანება, რომლის ძალითაც დაიკეტა მთელი იგი სკოლებისა. რაიც სამწუხაროდ, ისევ მალე მოისპო. ერთმა ადმინისტრატორმა დაუჯერებელი ბრძანება გასცა. ამ ბრძანების ძალით აიკრძალა ადგილობრივ მკვიდრთა სამუშაოდ მიღება, მოსამსახურეებად დაქირავება, მამულის იჯარით მიცემა და სხვა. ამითაც არ დაკმაყოფილდნენ მემარჯვენენი და მოითხოვეს უკიდურესი სისასტიკე ეროვნებათა წინააღმდეგ. მოიგონეთ კავკასიის შეკითხვები... გასულმა წელმა მოსპო ის მცირე იმედებიც, რომელიც პატარა ერებს წინა წლებში აღეძრათ.

მ. ხ—ლი.

ჯამაგირების შემცირებით დარჩათ. ქალაქის გამგეობა თავის განმარტებაში ამბობს: ასეთი ... გამგეობის მოქმედებისადმი სრულიად ამცირებს მის ღირსებას; მით უმეტეს რომ ბრალი ედება მას არა კეთილ სინდისიერ მოქმედებაში. გამგეობა, იმ იმედით, რომ საბჭო შესაფერად დააფასებს ამ მოვლენას, საჭიროდ სცნობს 30 დეკემბრის დადგენილება ფეხის ქირის მომატების შესახებ კვლავ იქმნას გადათვალიერებული, რომ თავიდან ავიცილოთ უსიამოვნო ხმებით.

ამ განმარტების შემდეგ გამგეობამ თავმჯდომარეთურთ დასტოვა თავისი ადგილი. თავმჯდომარეობა დაეთმო განსაკუთრებულ საქმეთა განხილვის დროსათვის არჩეულ თავმჯდომარეს ხმ. ლუნკევიჩს. გამგეობის წევრნი დარბაზიდანაც წავიდნენ. ბ-მა ლუნკევიჩმა საბჭოს მოაგონა, რა გარემოებაში მოხდა 30 დეკემბრის სხდომა და განაცხადა, რომ უკანონო მაშინ არა მომხდარა-რა საკითხის გადაწყვეტის დროსაო. შემდეგ შეეხო ბ-ნ ზუბალაშვილის განცხადებას და სთქვა, რომ ასეთ ეჭვის შეტანა ყოვლად უხერხულიაო.

პირველად ილაპარაკა განცხადების ავტორმა მ. ნ. ზუბალაშვილმა, მან სთქვა: შეიძლება ჩემს განცხადებაში ზოგი ადგილი მკვახედ ეჩვენოს მკითხველს, მაგრამ ეს აიხსნება იმითი, რომ 30 დეკემბრის სხდომის შესახებ ცნობების შეკრების დროს ბევრი ისეთი რამ გავიგე, რომ ძალიან ამაღელდა. არა მქონია აზრად ვისმეს შეურაცხყოფაო. ხმოსანმა ითხოვა 30 დეკემბრის სხდომის გაუქმება და საკითხის ხელმეორედ განხილვა. მას მხარი დაუჭირეს ი. მ. დოლუხანოვმა, ი. ს. ჯაბადარმა, დემენტიევმა და ვართანოვმა. სხვა აზრისანი იყვნენ სტ. ჭრელაშვილი და ლ. ტიგრანოვი.

კამათმა ნაშუადამევის პირველ საათის ნახევრამდე გასტანა. დასასრულ, საბჭომ დიდის ხმის უმეტესობით დაადგინა, ხელ-ახლა განიხილონ მოხსენება გამგეობის წევრებისათვის ჯამაგირების მიმატების შესახებ.

# სპარსეთის ამბები

**რუს-დიპლომატის აზრი სპარსეთის საქმეებზე.**

ამ დღეებში „რუსსკოე სლოვოს“ კორესპონდენტს უსაუბრნია რუსეთის ერთ-ერთ გამოჩენილ დიპლომატთან. დიპლომატს უთქვამს: რუსეთი და ინგლისი, წინააღმდეგ თავიანთ სურვილისა და მეცადინეობისა, ბოლოს და ბოლოს იძულებულნი იქნებიან ფაქტიურად გაერივნენ სპარსეთის საქმეებშიო.

რამდენადაც მე გაცნობილი მაქვს სპარსეთის მდგომარეობა, საეჭვოა, რომ შაჰის მთავრობამ მოახერხოს თავის საკუთარის ღონით მოსპოს ის ანარქია, რომელმაც, როგორც ეტყობა, მაგრად მოიკიდა ფეხი სპარსეთში. შაჰის მთავრობას თავდაპირველად ფული უჭირს. ფულის შოვნა კი მას შეუძლიან მხოლოდ რუსეთისა, საფრანგეთისა და ინგლისის შემწეობით. ხოლო ეს სახელმწიფოები უთუოდ მოითხოვენ განსაზღვრულ გარანტიას იმისას, რომ ფული ნამდვილად მოხმარდება აუცილებელ რეფორმების შემოღებას. უამგარანტიოდ სესხი მხოლოდ გააძლიერებს პოლიტიკურ ანარქიას, რომელიც დიდ ზარალს აძლევს რუსეთის და ინგლისის ინტერესებს.

**ინგლისის წინადადება.**

ინგლისის მთავრობამ ამ დღეებში ყველა დიდ სახელმწიფოს გაუგზავნა ქაღალდი, რომელშიაც იგი ამტკიცებს, რომ აუცილებად საჭიროა სპარსეთში კონსტიტუცია დაწესებულ იქნასო (ბ.).

**რუსეთის ელჩი გარტვიგი.**

როგორც ისმის, რუსეთის ელჩს გარტვიგს სპარსეთიდან გაიწვევენ და ბრიუსელში (ბელგიაში) დანიშნავენ ელჩადაო.

# ბალკანეთი

**ბოლგარია და ოსმალეთი.**

ბოლგარიის მთავრობამ წინადადება მისცა უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს, რომლებიც მსახურებენ ბოლგარიის რკინის გზებზე, დაუყოვნებლივ მიატოვონ სამსახური.

ის ხმა, ვითომ ბოლგარიის ჯარს საზღვარზე შეტაკება მოუვიდა ოსმალეთის ჯართანაო, ტყუილი გამოდგა. მთავრობამ უბრძანა ბოლგარიის ჯარს, დიდის სიფრთხილით მოიქეცითო. ბოლგარიის მთავრობა მიჰმართავს სახელმწიფოებს ნოტით, რომელშიაც განმარტავს, თუ რა მიზეზით მოახდინა მან ჯარის მობილიზაცია.

**ავსტრია და სერბია.**

ერთმა გამოჩენილმა ავსტრიელმა დიპლომატმა გამოუცხადა „ალგ. ცაიტ“-ის თანამშრომელს, რომ სერბიის კადნიერება აიძულებს ავსტრიას ბეჯითი ღონისძიება მიიღოს მდინარე სავაზე და დრინაზე საქმეთა მდგომარეობის შესაცვლელადო. ეს მდგომარეობა მალე შეიცვლება ან ომის შემწეობით, ან სხვა რაიმე გზითო.

**ჩერნოგორიის მთავრის თხოვნა.**

ჩერნოგორიის მთავარმა ნიკოლოზმა სთხოვა სახელმწიფოებს, დააჩქარეთ კონფერენციის მოწვევა, რადგან საქმის ვითარება ბალკანეთში შესამჩნევად გაუარესდა.

# საზღვარ-გარედ

**მინისტრი სტუმრად სოციალ-დემოკრატებთან:**

ავსტრიის სამინისტროს წევრი ჩეხი-მინისტრი ზაჩეკი ამ დღეებში მივიდა ჩეხ-სოციალდემოკრატების პარლამენტალურ ფრაქციის სხდომაზე. ზაჩეკმა სიტყვის უფლება სთხოვა სხდომის თავმჯდომარეს და განაცხადა, რომ იგი თავის თავს სთვლის განურჩევლად ყველა ჩეხურ პარტიის წარმომადგენლად მინისტრთა საბჭოში და ეს აძლევს მას უფლებას თავის მხრივად იმედი ჰქონდეს, რომ ყველა ჩეხი დახმარებას გაუწევს მას; ამის გამო იგი დახმარებას სთხოვს სოციალ-დემოკრატებს. ფრაქციის თავმჯდომარე დეპუტატი ნემეცი გულითადის სიტყვებით მიესალმა მინისტრს, მადლობა გადაუხადა მოსვლისათვის და დასასრულ გამოუცხადა, რომ ჩეხი სოციალ-დემოკრატები მხარს დაუჭერენ ჩეხთა სხვა პარტიებს ბრძოლაში ეროვნულ საქმისთვის.

**იაპონია და შეერთებული შტატები.**

ამას წინად კალიფორნიის შტატის წარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცა კანონი, რომლის ძალით იაპონელებს ეკრძალებათ უძრავ მამულის შეძენა ხსენებულ შტატის საზღვრებში. ამ კანონმა ძლიერ დააფიქრა შეერთებულ შტატების ფედერალური მთავრობა. იაპონიის ელჩმა ვაშინგტონში პროტესტი გამოუცხადა შტატების გარეშე საქმეთა სამინისტროს ისეთ კანონის გამოცემის წინააღმდეგ, რომელიც ზარალს აძლევს იაპონიის ინტერესებს. რუზველტი, რომელმაც სულ რამდენისამე თვის წინად შეთანხმება შეკრა იაპონიასთან, დიდად უკმაყოფილოა ამ კანონით. მან დეპეშით შეატყობინა კალიფორნიის გუბერნატორს ჯილეტს, რომ ამ კანონის მიღება ძლიერ გაუტეხს სახელს შტატებს, მეტადრე იმის შემდეგ, როდესაც იაპონიამ ხელი შეუწყო იაპონელ ემიგრანტების დაბრუნებას შტატებიდან სამშობლოში. გუბერნატორმა მოლაპარაკება [გამართა შტატის წარმომადგენლობითი დაწესებულებათა წევრებთან და ცდილობს უკან წაადებინოს ეს კანონი. ჯერ ძნელი გამოსაცნობია, მოახერხებს გუბერნატორი ამ ძნელ საქმეს, თუ ვერა, მაგრამ ამ ინცინდენტმა მეტად ცხადად გამოააშკარავა, რომ ამერიკის მთავრობა და წყნარ ოკეანის ნაპირზე მდებარე შტატები სულ სხვა და სხვა თვალით უყურებენ იაპონელებს. ფედერალური მთავრობა პოლიტიკურის მოსაზრებით საჭიროდა სთვლის კარგი განწყობილობა იქონიოს იაპონიასთან, წყნარ ოკეანეს ნაპირას მცხოვრებნი ამერიკელები-კი კანონებსა სცემენ იაპონელთა უფლების შესაზღუდად.

# რუსეთი

**✦ დამსჯელ ექსპედიციების დროიდან.** 9 იანვარს პეტერბურგის ოლქის სასამართლომ გაარჩია რამდენიმე საქმე გაზეთ „რეჩის“ რედაქტორის ხარიტონისა. სხვათა შორის მას აბრალებდნენ დამსჯელ ექსპედიციებზე ცილის წამებას. საქმე ამნაირად ყოფილა. გაზეთ „რეჩში“ დაბეჭდილია კორესპონდენცია რეჟიციდან. კორესპონდენციის შინაარსი მოკლედ ასეთია: როტმისტრ დანილოვს თავისთან დაუბარებია რეჟიცის ებრაელების ორი რაბინი და ერთი ებრაელი ვაჭარი. დაბარებულნი, რა თქმა უნდა, გამოცხადებულან. როტმისტრს მათთვის შემდეგი სიტყვებით მიუმართავს: „თქვენ გეცოდინებათ, რომ ურიებმა თავიანთ მაღაზიებში ქრისტიანები შეიტყუეს და სცემეს. მე თქვენ... (უცენზურო სიტყვები) გეუბნებით, თუ ათი დღის განმავლობაში არ გასცემთ ამ საქმის მეთაურებს, მოვალ დრაგუნებით ქალაქში და ნახევარ ქალაქს ამოვხოცავ. დახეთ ებრაელების გათამამებას! მე ადამოვოში ვარ და რეჟიცის ებრაელები კი (უცენზურო სიტყვები) ჩემზე... მე თქვენ ისე გაგიხდით საქმეს, რომ ორი დღის შემდეგ ძაღლებივით ამოსწყდეთ. მე ვიყავი კრესლოვკაში, დვინსკში, ლივენგოფში და იქ ჩემი სახელი დღესაც ახსოვთ. მოვალ რეჟიცშიც და ათ წელიწადს ვეღარ დამივიწყებთ. ასე გადაეცით, რომ თუ რამე მომხდარა, ნახევარ ქალაქს ამოვწყვეტ“. ასეთისავე სიტყვით მიუმართავს ამ პირებისთვის პოდპოლკოვნიკ ვერხოვსკის. ამას დაემატებინა: „სედლეცსა და ბელოსტოკს გაგიმეორებთ ათკეცად. 10—15 წუთში 300 მოკლული იქნება“. სასამართლოში დაბარებულმა მოწმეებმა დაამტკიცეს კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები. სასამართლომ ხარიტონი ამ საქმისთვის გაამართლა. სასამართლომ ამავე სხდომაზე გაარჩია ტიმოშკინისა და ვარშავის ციხის ადმინისტრაციის საჩივარი. ტიმოშკინის შესახებ გაზეთ „რეჩში“ ფელეტონი იყო დაბეჭდილი. იგი ეხებოდა ტიმოშკინის რეზოლიუციას „შავი ყორნების“ აკრძალვის შესახებ. ამ ფელეტონის ავტორს იაბლონოვსკის სასამართლომ ორი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა. ვარშავის ციხის ადმინისტრაციის საჩივრის გამო ხარიტონს ორი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტეს.

**✦ ქორწილი ციხეში.** 18 იანვარს სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი ტესლი ციხეში ჯვარს იწერს ერთ ქალზე. მეჯვარეებად მას ამოურჩევია მეორე სათათბიროს ყოფილი დეპუტატი ბერეზოვსკი და მესამე სათათბიროს დეპუტატი კოლიუბაკინი. ციხის ადმინისტრაციას ამათ დანიშვნაში დემონსტრაცია დაუნახავს და ტესლისთვის მოუთხოვია, სხვები დანიშნე მეჯვარეებადაო.

**✦ სამხედრო წესები ტურუხანის მხარეში.** როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველს მოეხსენება, ტურუხანის მხარეში სამხედრო წესები შემოიღეს. მთელი ტურუხანის მხარე მილიონ ნახევარი ოთხკუთხი ვერსია და ამოდენა ადგილზე მხოლოდ 13,000 სული მოსახლობს, მათ შორის 1000 გადასახლებული. მთავრობა სამხედრო წესების გამოცხადებას არეულობით ამართლებს. არეულობა კი ადმინისტრაციის ცნობით პოლიტიკურ გადასახლებულთ მოუხდენიათ. რუსეთის გაზეთების სიტყვით, საქმე სულ სხვანაირად მომხდარა. ტურუხანის გადასახლებულთა დიდი ნაწილი ქურდები და ჯიბგირები ყოფილან, რომელთაც ადმინისტრაცია პოლიტიკურ დამნაშავეებად ჰრაცხს. ამათ პოლიციელ ზედამხედველისთვის თავიანთი ხვედრი ფული მოუთხოვიათ. ზედამხედველს რაღაც მიზეზით ფულის მიცემა დაუგვიანებია. მაშინ აუღიათ და მოუკლავთ ის, წაუღიათ 450 მანეთი, უყიდნიათ არაყი, დამთვრალან და დაუწყვიათ ჩხუბი. საღამოთი მთვრალები გამგზავრებულან ტურუხანსკში და გზა და გზა სოფლების აკლება დაუწყვიათ. ამათ დასამშვიდებლად გაგზავნილ სალდათებს მძიმედ დაუჭრიათ 26 კაცი, დანარჩენები 200 კაცამდე ციხეებში ჩაუმწყვდევიათ. გამორკვეულა, რომ პოლიციელ ზედამხედველს გადასახლებულთა ფული თითონ უხმარებია. აი ეს ყოფილა მიზეზი სამხედრო წესების შემოღებისა!

**✦ პროვინციალურ პრესსის ასი წლის იუბილეი.** 1911 წელს სრულდება 100 წელიწადი, რაც პროვინციალური პრესსა არსებობს რუსეთში. 18 აპრილს 1811 წელს გამოსულა ყაზანში გაზეთი „კაზანსკია იზვესტია“. ეს გაზეთი პირველი პროვინციალური გაზეთი ყოფილა. დაუარსებიათ ზინოვიევს და პროფესსორ ზაპოლსკის. გაზეთს 130 ხელის მომწერი ჰყოლია. „კაზანსკია იზვესტიას“ დიდი ხანი ვერ უცოცხლია, იგი მალე დაუხურავთ. ყაზანის პროგრესიულ გაზეთებს კრება გაუმართავთ ამის შესახებ და დაუდგენიათ, აცნობონ ყველა პროვინციალურ გამოცემას იუბილეის მოახლოვება და სთხოვონ მონაწილეობა მიიღონ იუბილეიში. განზრახულია იუბილეის დღისთვის გამოსცენ პროვინციალურ პრესსის ისტორია. ამას გარდა იმედი აქვთ, რომ ამ დღისთვის ყაზანში გაზეთების წარმომადგენელთა კრება გაიმართება.

რედაქტორ-გამომცემელი
ი. ხ. აგლაძე.

## აკაკის ფონდის ანგარიში

(1 იანვრამდის 1909 წლისა)

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| **შემოსავალი:** | | |
| 1. თეატრის შემოსავალი. ტფილისში | 3189 | 41 |
| 2. შემოწირულებანი: | | |
| ი. გოგებაშვილისაგან | 100 | |
| გიორგი ეპისკოპოსისაგან | 100 | |
| ს. ჭიჭინაძისაგან | 5 | |
| დ. ზ. სარაჯიშვილისაგან | 500 | |
| ნ. ერისთავისაგან | 10 | |
| ნ. ჯანდიერისაგან | 50 | |
| აზ. თოფურიძისაგან | 19 | |
| მლ. ხახუტაშვილისაგან | 3 | |
| ი. ნათაძისაგან | 1 | |
| ი. ფურცელაძისაგან | 10 | |
| ს. ქეიშვილისაგან | 10 | |
| კნ. ტ. გელოვანისა და ლ. მაჩაბელისაგან | 100 | |
| ნ. სიმონოვისაგან | 92 | 90 |
| უგანათ. კნ. ნიკ. ბაგრატიონისაგან | 100 | |
| კნ. ედ. ხიდირბეგიშვილისაგან | 20 | |
| გრ. წერეთლისაგან | 40 | |
| ტფ. მეჩექმეთა ხელოსნებისაგან | 20 | 30 |
| შეგროვილი: ს. სალაგაძისა | 18 | 50 |
| ქვემო მაჩხაანში | 55 | 85 |
| შუშაში ლაბაურისაგან | 54 | 60 |
| ზაქათალში ნ. შიუკაშვილისაგან | 70 | |
| სოხუმში კნ. სალ. ჯანდიერისაგან | 600 | |
| ახალსოფელში | 6 | 70 |
| ს. საქობოში | 5 | 30 |
| ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთაგან | 84 | 50 |
| სამტრედიის კომიტეტისაგან | 171 | 77 |
| ახალციხის | 180 | 5 |
| ოჩამჩირეში წარმოდგენისა | 150 | 86 |
| მესამე საქალებო გიმნაზიის მოსწავლეთაგან | 10 | 30 |
| ტფ. მეორე სავაჟო გიმნაზიისა | 8 | 27 |
| გ. ნ. ყაზბეგისაგან | 5 | |
| კნ. მარ. ვახ. ორბელიანისაგან | 74 | |
| ეკ. მუატისაგან | 10 | |
| დ. ემუხვარისა და ი. გეგიძისაგან | 9 | |
| ტეხ. ვლადიმერ ივ. ბექაურისაგან | 20 | |
| ვ. კირვალიძისაგან | 3 | |
| ალ ჯავახიშვილისაგან | 3 | |
| 3. აკაკის რჩეული ლექსების და სურათების გაყიდვით | 283 | 30 |
| 4. საადრესო ქაღალდების (ქიათურის შავი ქვის მწარმოებელთა საბჭოსაგან) | 126 | |
| სულ | 6320 | 61 |
| **გასავალი:** | | |
| 1. თეატრისა. ქირა | 750 | |
| ცხოველი სურათების ტანისამოსის შესაკერად | 125 | |
| მუქთი ბილეთები პრესას და სხვათა | 96 | 50 |
| ქ. ანდრონიკაშვილის ქალს | 40 | |
| თეატრის მსახურთ | 46 | |
| ხოროს და ნოტების გადასაწ. | 57 | |
| კარეტას | 25 | |
| და სხვა და სხვა წვრილმანი | 17 | 27 |
| 2. იუბილეისა: სტამბას ბლანკების, პროგრამის, და მონოდებების დასაბეჭდად | 23 | |
| იუბილეიზე მოწვევის წერილები, სადარბაზო ბარათები დადაბეჭდვით | 33 | |
| აკაკის სურათებში | 15 | |
| დელეგატის გაგზავ. ქუთაისში | 16 | |
| შკაფი ნივთებისათვის | 25 | 60 |
| წვრილმანი | 12 | 70 |
| 3. წიგნების და სურათების: | | |
| 1) რჩეული ლექსების დაბეჭდვაში | 146 | |
| ასაკინძში | 94 | 50 |
| ქაღალდში | 180 | 20 |
| 2) საიუბილეო კრებულის დაბეჭდვაში | 66 | |
| აკინძვაში | 20 | |
| კორექტურაში და კლიშეებში | 62 | 25 |
| ქაღალდში | 123 | 33 |
| 3) ნაცარქექიას დაბეჭდვაში | 29 | |
| ასაკინძში | 9 | |
| ქაღალდში | 30 | 33 |
| კორექტურაში | 5 | |
| 4) ქუთათელის სიზმრის დასაბეჭდში | 16 | 50 |
| ქაღალდში | 16 | 17 |
| ასაკინძში | 4 | 50 |
| კორექტურაში | 2 | 50 |
| 5) გოგია მეჩონგურის დაბეჭდვაში | 16 | 50 |
| ქაღალდში | 16 | 17 |
| ასაკინძში | 4 | 50 |
| კორექტურაში | 2 | 50 |
| 6) ლია წერილების დაბეჭდვაში | 60 | |
| 7) სურათების დაბეჭდვაში | 138 | 50 |
| წიგნების გასაგზავნი, სურათების და სხვ. | 27 | 95 |
| სულ | 2353 | 47 |
| დარჩა | 3967 | 14 |
| მიეცა აკაკის ჰონორარად | 500 | |
| დარჩა სულ | 3467 | 14 |

გარდა ამისა, აკაკის ფონდს აქვს წიგნები და სურათები:

| | | |
|---|---|---|
| აკაკის კრებული 2400 ც. ღირებულია | 480 | |
| ნაცარქექია 2400 ცალი ღირებ. | 192 | |
| გოგია მეჩონგურე 2400 ც. ღირ. | 96 | |
| ქუთათელის სიზმარი 2000 ც. | 96 | |
| წმ. ნინო (მ. ლალიძის შეწირული) 1780 ც. | 284 | 80 |
| წმ. ნინო (პატრი მუღაშაშვილისაგან შემოწ.) 500 ცალი | 40 | |
| სურათი აკაკისა 110 ცალი | 44 | |
| საადრესო ფურცელი 87 ცალი | 261 | |
| სულ | 1493 | 80 |

აკაკის საიუბილ. მთავარი **კომიტეტი**.


ქ ა ლ ა ქ ქ უ თ ა ი ს შ ი
**ბუხჰალტერი-სპეციალისტი**
ამზადებს მსურველთ როგორც თეორიულად ... იტალიურ ბუხჰალტერიის, კომერციულ ... ნგარიშებასა და სხვა კომერციულ ...
პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე ... დან 2 საათამდე და საღამოს ... დან 7 საათამდის.
ადრესი: ბალახვანის ქუჩ., სახლი გარეჩილაძისა, № 41. (5—ფ.—1)

**60 მანეთიანი 30 მანეთად**





ქ. ქუთაისში
**ა. რ. თაბაგრის მაღაზიაში**
თეატრის გვერდით
მუდამ იყიდება საუკეთესო საკერავი მაშინები, ველოსიპედები, ჩულქის საქსოვი მანქანები, გრამოფონები და ყოველივე მათი მოწყობილება. ვღებულობთ გამოსვლისათანავე ახალ-ახალ ფირფიტებს და სხვ. საქონელს ვღებულობთ საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებიდან სათითაოდ შემოწმებულს, რისთვისაც ვიძლევით გარანტიას.
**ფასები შესამჩნევად დაკლებულია**
ხელის მაშინა სხვის 60 მანეთიან მაშინებთან შედარებით ჩვენთან 30 მანეთი ღირს.
ჩვენ მაღაზიას აგენტები ჰყავს ყველა ქალაქსა და დაბაში. წერილობით მიწერ-მოწერის პასუხს სწრაფად ვიძლევით.



შეიძლება საქონლის დაბარებაც ზედ-დადებულ ფასით. თუ გაგზავნილი საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ.



◀ **60 მანეთიანი 30 მანეთად** ▶
(100—6—9)

1865 წ. 1870 წ. 1882 წ. 1896 წ.

**ამხანაგობა**
**რუსეთ-ამერიკის რეზინის მანუფაქტურისა**
**ფირმით**
**სამკუთხი**
**პეტერბურგში**

სატეხნიკო ნივთები.
რეზინის ლეიბები.
რეზინის და პენკის მილები.
აზბესტის ნაწარმები.
აზბესტის კარტონი.
ქირურგიული და სანიტარო ნივთები.
წამოსასხმები და პალტოები.
გარეზინებული მატერიები.
ველოსიპედის შინები და კალოშები.
რეზინის სათამაშოები.
ბ უ რ თ ე ბ ი.
რეზინის ნაწარმი.
კ ა ლ ო შ ე ბ ი.
რეზინის ყოველგვარი ნაწარმები და ძველი რეზინისა.

**მოსოვთ ყურადღება მიაქციოთ ამ დაღს:**

1860. Т.Р.А.Р.М С.ПЕТЕРБУРГЪ.

ყოველგვარ შეკითხვით და საქონლის დასაკვეთად მსურველმა უნდა მიმართოს
ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ს.
**„ლეოპოლდ ნეიშელლერი“,**
ტფილისი, ერევნის მოედანი, საკრედიტო საზოგადოების სახლი.
პრეის-კურანტები პირველსავე მოთხოვნილებაზე უფასოდ იგზავნება. (10—6.—8)


სტამბა „ხ ი ნ ა თ ლ ე“. დ... ვ...ქის ქუჩა, № 12.